

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დალი გურასპაშვილი

შეცდომით დადებული გარიგებები (შედარებით-
სამართლებრივი ანალიზი)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი- ალექსანდრე იოსელიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ინსტიტუტის - შეცდომით დადებული გარიგებების შედარებით-სამართლებრივ კვლევას.

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალში აღნიშნული ინსტიტუტი არაერთგვაროვნადაა მოწესრიგებული. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ვლინდება შეცდომის სახეების კლასიფიკაციასთან და შეცდომით დადებული გარიგებების შეცილებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს შეცდომის ლეგალურ დეფინიციას, რამაც შესაძლოა არაერთი პრობლემა წარმოშვას პრაქტიკაში.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია აღნიშნული ინსტიტუტის ისტორიული ასპექტები, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა კანონმდებელი მოქმედ კოდექსში შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელი ნორმების შემუშავებისას. ყურადღება გამახვილებულია არაარსებითი და არსებითი შეცდომის სახეებზე, მათ მახასიათებლებზე, როგორც ქართული, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, ასევე წარმოდგენილია მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. მოკლედ არის მიმოხილული საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა შეცილების უფლების შესახებ, ასევე განხილულია საქართველოს სასამართლოთა პრაქტიკა და წარმოდგენილია ის, თუ როგორ მოწესრიგებას გვთავაზობს ამ ინსტიტუტის შესახებ უნიფიცირებული აქტი - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები.

შესაბამისად, ნაშრომში განხორციელებული შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, საქართველოს საერთო სასამართლოთა პრაქტიკის მიმოხილვა და შემუშავებული რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

Erroneous transactions (Comparative Legal Analyse)

Annotation

The present Master's thesis is a comparative-legal survey of one of the most important and interesting institution of civil law –with comparing erroneous transactions.

The institution in the law of Georgia and abroad is uniformly regulated. Such approach is particularly evident in the classification of the types of mistake and with the dispute of erroneous transactions. It is noteworthy that the Civil Code of Georgia does not set out a legal definition of the mistake, which may cause a number of problems in practice.

The Historical aspects of the institution are discussed in master's thesis, what challenges faced by the legislator in acting legislative code while developing the regulatory norms of erroneous transactions. The focus is on the types of non-essential and essential mistakes, their characteristics, according to both Georgian and German law, as well as the similarities and differences between them. There is a short overview of the civil legislation dispute of foreign countries and the practice of the Georgian courts and is presented how the uniformed act on this institution is proposed to regulate the principles of international commercial treaties.

Consequently, the comparative-legal analysis in this thesis, the review of the practice of common courts of Georgia and the elaborated recommendations will contribute the formation of a homogeneous approach and elimination of the existing faults in the legislation.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. შეცდომით დადებული გარიგებები 1997 წლის სამოქალაქო კოდექსში.....	8
თავი II. შეცდომით დადებული გარიგებების ცნება და არაარსებითი შეცდომის სახეები საქართველოს მოქმედ სამოქალაქო კოდექსში.....	11
2.1. შეცდომით დადებული გარიგებების ცნება და შეცდომის სახეების კლასიფიკაცია.....	11
2.2. არაარსებითი შეცდომის სახეები	16
2.2.1. შეცდომა გარიგების მოტივში.....	16
2.2.2. წვრილმანი შეცდომები.....	21
თავი III. არსებითი შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.....	24
3.1. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში.....	30
3.2. შინაარსში დაშვებული შეცდომა.....	33
3.3. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა	38
3.4. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში/შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში.....	42
3.5. შეცდომა უფლებაში.....	51
თავი IV. შეცდომით დადებული გარიგებები საერთაშორისო კომერციულ ხელშერკულებათა პრინციპების მიხედვით.....	56
დასკვნა	68
გამოყენებული ლიტერატურა	73

შესავალი

სამოქალაქო სამართალში მოქმედი პრინციპებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ესაა - კერძო ავტონომიის პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს პირთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას გარიგებისა თუ ხელშეკრულების მეშვეობით.

ადამიანები ყოველდღიურად უამრავ გარიგებას დებენ, რადგან სამართლებრივი ურთიერთობების გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. შესაბამისად, ყოველი გარიგება მხარეთა შორის მიღწეულ კონსენსუსს ეფუძნება. მხარეები შესაძლოა ფიქრობდნენ კიდევ, რომ მათ შორის შეთანხმება შედგა და მიაღწიეს კონსენსუსს, თუმცა მოგვიანებით გაირკვეს, რომ გარიგება შეცდომის გალვენით იქნა დადებული.

იშვიათია, რომ მხარეთა შორის არსებული გარიგება სრულყოფილი იყოს. გარიგებების დადების დროს ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ მხარეთა მიერ შესაძლოა დაშვებული იქნეს შეცდომა. ასეთი შეცდომა შეიძლება გარიგების საცილობის საფუძველიც გახდეს. არც ერთი მხარე არაა დაზღვეული იმისგან, რომ მათ მიერ გამოვლენილი ნება სრულ შესაბამისობაში არ აღმოჩნდება მათ შინაგან ნებასთან. თუმცა არსებობს ისეთი სახის შეცდომებიც, რომლებიც გარიგების ნამდვილობას საფრთხის წინაშე ვერ დააყენებენ.

ვინაიდან, საკმაოდ მაღალია ალბათობა იმისა, რომ გარიგება შეცდომით დაიდოს, შესაბამისად, აუცილებელია ამ ინსტიტუტის საფუძვლიანად და სრულყოფილად მოწესრიგება.

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას, კანონმდებლის მიერ შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელი ნორმები სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსიდან იქნა გადმოტანილი, იმ ფონზე, როდესაც აღნიშნული ქვეყნების სამართალშიც შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომა ამ ინსტიტუტის მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1997 წლის შემდგომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არც ერთი ცვლილება არ არის შესული შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელ თავში. სამოქალაქო სამართალი, რომელიც

ცოცხალი ორგანიზმივითაა, საჭიროებს მუდმივ განვითარებას, ახლებური ხედვების ჩამოყალიბება-დამკვირდებას.

შესაბამისად, ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება წარმოშობს არაერთ პრობლემას და გამოკვეთს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საკვლევ თემას, მით უფრო რომ, შეცდომით დადებული გარიგებები მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი და დამუშავებული.

კერძო სამართლის ამ ინსტიტუტის შესახებ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არცთუ ისე მდიდარია, რის გამოც საერთო სასამართლოთა მიერ ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების სრულყოფილად აღმოფხვრა, მათი გამოსწორება და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.¹

კვლევის მიზანი და ამოცანა: კვლევის მიზანია შეცდომით დადებული გარიგებების მნიშვნელობის დადგენა, არაარსებითი და არსებითი შეცდომის სახეების, ასევე შეცილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კონკრეტული საკითხების ირგვლივ არსებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. ყოველივე აღნიშნულის შემდგომ, კვლევის შედეგად გამოკვეთილი

¹ ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში - მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2013, 26.

ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 5 მაისს, ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოებში 2008, 2009 და 2010 წლებში არსებული სტატისტიკის შესახებ, რომელიც შეეხებოდა შეცდომით დადებული გარიგების შედეგად წარმოშობილ დავებს.

2019 წლის 27 მაისს განცხადებით მივმართე საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოვითხოვე 2011 წლიდან, მიმდინარე წლის ჩათვლით არსებული სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილული შეცდომით დადებული გარიგებების შედეგად წარმოშობილი დავების შესახებ.

თუმცა, წერილის პასუხს ორივე შემთხვევაში წარმოადგენდა ის, რომ საერთო სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში შეცდომით დადებული გარიგებების შედეგად წარმოშობილი დავები ცალკე კატეგორიად არ იყო აღრიცხული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გარემოება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ შეცდომით დადებული გარიგებების შესახებ საერთო სასამართლოებში არც ერთი საქმე არ არის განხილული და გადაწყვეტილი. ამას მოწმობს ნაშრომში განხილული სასამართლო პრაქტიკა.

სადაო და ხარვეზული საკითხების გადაჭრის გზების ძიება და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

ამისთვის კი გამოკვლეულია საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, უცხო ქვეყნის - გერმანიის სამართალი, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ასევე უნიფიცირებული აქტი - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები (უნიდროას პრინციპები).

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო სამართლის, ასევე საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ამ ინსტიტუტის ირგვლის არსებული საქართველოს საერთო სასამართლოთა პრაქტიკა.

კვლევის ობიექტია : შეცდომით დადებული გარიგებები და მისი სამართლებრივი ბუნება.

კვლევის მეთოდები : სამაგისტრო ნაშრომში შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების კვლევისას გამოყენებულია - ისტორიული, შედარებითი, სისტემური კვლევის მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე : საკვლევი თემის მიმართ უცხო ქვეყნის სამართალში არსებულმა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ, ასევე მისთვის დამახასიათებელმა ძირითადმა თავისებურებებმა, რომლებიც აღნიშნულ თემას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის, სხვა პრობლემებთან ერთად საჭირო გახდა შეცდომით დადებული გარიგებების სრულყოფილი მოწესრიგება, არსებული ხარვეზების გამოსწორება, რის გამოც მივიჩნიე არსებითად ამ ინსტიტუტის დამუშავება და მისი გაანალიზება შედარებით-სამართლებრივ ქრილში.

საკვლევი თემის სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ კვლევისას ფართოდ გამოვიყენე ახალი წყაროები, რაც განასხვავებს ჩემს სამაგისტრო ნაშრომს, მანამდე განხორციელებული კვლევებისაგან.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა : სამაგისტრო ნაშრომი შედგება 75 გვერდის, ანოტაციის, შესავლის, 4 თავის, 9 ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

თავი I. შეცდომით დადებული გარიგებები 1997 წლის სამოქალაქო კოდექსში

საქართველოში საკანონმდებლო ბაზის ცვლილების აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით იყო გამოწვეული. ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც 1964 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ჩაანაცვლა, 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედდა.²

სსკ-ი აგებულია გსკ-ის იმ პარაგრაფების მიხედვით, რომელიც გარიგებას შეეხება. ასევე, გარიგებების ცალკეული თავები კანონმდებლის მიერ შემუშავდა სხვადასხვა ქვეყნის სამართალში არსებული ანალოგიური ნორმების მიხედვით.³

კანონმდებლის მიერ გერმანული სამართლის გაზიარებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი გარიგების მომწესრიგებელ დებულებებს დაეთმო. ასეთი მიდგომა იმით აიხსნება, რომ ჯერ აუცილებელია დადგინდეს ნების გამოვლენის არსი და ამის შემდგომ მოხდეს მისი გარკვევა სამართლებრივ ურთიერთობაში.⁴

გამოვლენილ ნების ნამდვილობას კი საფრთე ექმნება, როცა ნება ნაკლიანია.

მოქმედი კოდექსით ორ ჯგუფად იყოფა გარიგებები, რომლებშიც შეინიშნება ნების ნაკლის არსებობა. ასეთი გარიგებების დადებას ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგები მოსდევს, კერძოდ, მათი ერთი ჯგუფი სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, რადგან დადების მომენტიდანვე ბათილია. ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელიც შესაძლოა ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი ისარგებლებს შეცილების უფლებით. მეორე ჯგუფში შემავალ გარიგებებს სსკ-ი საცილო გარიგებების სახელწოდებით მოიხსენიებს.

² ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში - მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2013, 26-43.

³ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 213.

⁴ ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში-ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება, სამართლის ჟურნალი, N1, 2014, 67-76.

მოტყუებით და იძულებით დადებულ გარიგებებთან ერთად, შეცდომით დადებული გარიგებებიც მეორე ჯგუფს განეკუთვნება. საცილო გარიგებების პრაქტიკული მნიშვნელობით აიხსნება ის გარემოება, რომ სსკ-ს ზოგად ნაწილში ამ ტიპის გარიგებები ცალკე თავითაა მოწესრიგებული.⁵

პოსტსაბჭოურ კანონმდებლობასთან შედარებით, შეცდომით დადებული გარიგებები სსკ-ით უფრო დეტალურად მოწესრიგდა.⁶

სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას, შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით კანონმდებელმა არ გაიზიარა ისეთი ქვეყნების მიდგომა, რომელთა სამოქალაქო კოდექსშიც საცილოობის საფუძველი განიხილებოდა სახელშეკრულებო სამართალთან ურთიერთკავშირში. ქართული კოდექსის ასეთი მიდგომა მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ზოგად ნაწილში არსებული ნორმების კოდექსის სხვა ადგილებში განმეორების საჭიროება არ არსებობს. აღნიშნული კი განპირობებულია იმით, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ნორმები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელსაც საფუძვლად უდევს ნების გამოვლენა.⁷

სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას სადაო იყო შეცდომით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებული საკითხები. არსებითი შეცდომის ფორმულა უცვლელი ფორმით იქნა ასახული კოდექსში, ხოლო გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა არ იქნა მიჩნეული არსებით შეცდომად, ვინაიდან მოტივი ისეთ მოვლენად განიხილება, რომელიც გარიგების გარეთ არსებობს და ამის გამო იგი გარიგების სიმტკიცეზე გავლენას ვერ მოახდენს. თუმცა, გამონაკლისის სახით, კანონმდებელმა დაადგინა, რომ შესაძლო იყო მოტივიც არსებით შეცდომად განხილულიყო, მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმებით იგი გარიგების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რომლის გარეშეც

⁵ ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში-ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება, სამართლის ჟურნალი, N1, 2014, 67-76.

⁶ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 237.

⁷ ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში-ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება, სამართლის ჟურნალი, N1, 2014, 67-76.

ცდომილებაში მყოფი პირის მიერ ასეთი გარიგება არ დაიდებოდა. ასევე, კამათს იწვევდა კონტრაქტის პიროვნებაში შეცდომის გამო გარიგების ბათილობის საკითხი.⁸

კანონმდებელმა სსკ-ში გერმანული სამართლთან ერთად გამოიყენა შვეიცარიის და იტალიის სამართალიც. კერძოდ, არსებითი შეცდომის განმარტების და კლასიფიკაციის, ასევე დაუდევრობით დაშვებული შეცდომის იურიდიული შედეგების მოწესრიგება ჰგავს შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 23-ე და 24-ე მუხლებს, ასევე 26-ე მუხლის მე-2 ნაწილს. მოტივსა და უფლებაში შეცდომის შემთხვევებიც შვეიცარიის და იტალიის სამართლის გავლენით მოწესრიგდა. ზოგიერთი დებულების მიმართ კი ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1110-ე მუხლის გავლენაც შეინიშნება.⁹

მოქმედ სამოქალაქო კოდექსში მოცემულია შეცილების ექვსი საფუძველი. არსებითი შეცდომის აღნიშნული სახეები მოწესრიგებულია სსკ-ის 73-75-ე მუხლებში.¹⁰ ამ ნორმებს საფუძვლად უდევს საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა.¹¹

რაც შეეხება ბათილი გარიგებების შედეგებს, კომისიამ არ გაიზიარა საბჭოთა სამოქალაქო კოდექსების მიდგომა, რომლებშიც რესტიტუციისა და მისი თანმდევი შედეგების მომწესრიგებელი ნორმები გარიგების თავშია მოცემული. გერმანული სამართლის მსგავსად, გარიგების ბათილად ცნობის თანმდევი შედეგები უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების თავში მოთავსდა. კომისიის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა იმან, რომ რესტიტუცია თავისი შედეგებით გარიგების ბათილობასთან ერთად სხვა გარემოებასთანაც არის დაკავშირებული.¹²

⁸ *ზოიძე ბ.*, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 1994, 288-289.

⁹ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 237.

¹⁰ *ბურდული ი., გაჩეჩელია ა., და სხვ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 417.

¹¹ *ამირანაშვილი გ.*, შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში-ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება, სამართლის ჟურნალი, N1, 2014, 67-76.

¹² *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 239.

თავი II. შეცდომით დადებული გარიგებების ცნება და არაარსებითი
შეცდომის სახეები საქართველოს მოქმედ სამოქალაქო
კოდექსში

§2.1. შეცდომით დადებული გარიგებების ცნება და შეცდომის
სახეების კლასიფიკაცია

ყველა სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ხარვეზიანი ნების არსებობა შესაძლოა იწვევდეს გარიგების ბათილობას. გარიგების ბათილობის ფართოდ გავრცელებული საფუძვლებიდან, ერთ-ერთი საფუძველი არის შეცდომა, რომელიც დაკავშირებულია „არასწორ წარმოდგენასთან გარიგების საგნის თვისებების ან გარემოებების, ან გარიგების პირობების შესახებ“.¹³

სსკ-ში გარიგებების შესახებ კარში, მეოთხე თავის პირველი ქვეთავი დასათაურებულია შემდეგნაირად - „შეცდომით დადებული გარიგებანი“. აღნიშნულ ქვეთავში ჩამოყალიბებულია ცენტრალური დებულება, სსკ-ის 72-ე მუხლი, რომლის თანახმად, გარიგება საცილოდ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, „თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე“.¹⁴

*„კანონმდებელი შეცდომაში მარტო კერძო ნების საერთო ნორმატიული ნებისაგან გადახვევას კი არ გულისხმობს, არამედ გულისხმობს უცოდინრობასაც, რადგან უცოდინრობა საქმის ნამდვილი მდგომარეობის არცოდნაა და როგორც შეცდომას, ისე უცოდინრობას ერთი და იგივე შედეგი მოსდევს, ამიტომ ისინი ერთი მნიშვნელობით გამოიყენება“.*¹⁵

სავინის სახელს უკავშირდება შეცდომის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ჩამოყალიბება, რომლის თანახმად, ნების გამოვლენა ვერ იქნება ნამდვილად მიჩნეული, თუ იგი შეცდომით განხორციელდა. ე.ი. ასეთ შემთხვევაში ნება არ არის თანხვედრაში მის გამოვლენასთან. ეს მოძღვრება სსკ-ის 72-ე მუხლის

¹³ Fu, J, Modern European and Chinese contract law: A Comparative Study of Party Autonomy, Tilburg University School of Law, 2010, 70.

იხ. <https://pure.uvt.nl/ws/portalfiles/portal/7549119/Fu_modern_20_12_2010.pdf>, [20.06.2019].

¹⁴ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 318.

¹⁵ ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GIZ, 2014, 402.

იხ. <http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf> [20.06.2019].

საფუძველია, რომლის თანახმადაც, გარიგების ბათილობა შესაძლოა გამოიწვიოს შეცდომამ, ე.ი ნების ნაკლმა.¹⁶

სსკ-ი არ შეიცავს ნორმას, რომლითაც განისაზღვრებოდა შეცდომის ლეგალური დეფინიცია. უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში - ისეთი შემთხვევები, როცა საქმის ვითარების შესახებ არსებული წარმოდგენები შეუსაბამოა მის ნამდვილ მდგომარეობასთან, შეცდომად განიხილება.¹⁷

ჩემი აზრით, სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია, რომ სსკ-ი შეცდომით დადებული გარიგებების მომწესრიგებელ თავში ასევე ითვალისწინებდეს შეცდომის დეფინიციას. მართალია, სსკ-ს 72-ე მუხლის სახელწოდებაა „ცნება“, თუმცა მასში არ განიმარტება არც შეცდომის და არც შეცდომით დადებული გარიგებების მნიშვნელობა.

ქართულ სამოქალაქო სამართალში შეცდომად განმარტებულია პირის სურვილის შესაბამისი მოქმედება, რომელსაც თან არ სდევს სასურველი სამართლებრივი შედეგი. რაც შეეხება გარიგებაში დაშვებულ შეცდომას, ასეთად განიმარტება პირის მოქმედება, რომელიც მის ნებას ეწინააღმდეგება.¹⁸ აღსანიშნავია, ისიც, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეები ნებით თუ ნებისგან დამოუკიდებლად მაინც უშვებენ შეცდომებს.¹⁹

სამოქალაქო სამართალში უნდა გაირკვეს თუ რა მიიჩნევა შეცდომად. ასევე, აუცილებელია განხორციელდეს შეცდომათა კლასიფიკაცია, რათა თითოეულ ჯგუფში შემავალი შეცდომებისათვის შესაბამისი იურიდიული შედეგი განისაზღვროს.²⁰

ზოგადად, მხარის მიერ შეცდომა ოთხი გზით შეიძლება იქნეს გამოწვეული: (ა)არასწორი ინფორმაცია : იგულისხმება მხარის მიერ გაცემული არასწორი

¹⁶ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 366.

¹⁷ *ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ.*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 223.

¹⁸ *ჯორბენაძე ს.*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, N2, 2011, 189-222;

იხ. <<http://www.library.court.ge/upload/Sam%20journ%20N2%202011.pdf>> [20.06.2019].

¹⁹ *ბურდული ი., გაწერელია ა.*, და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 410.

²⁰ *თუმანიშვილი გ.*, გარიგებები-სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 54.

ინფორმაცია, რათა შეცდომაში შეიყვანოს მეორე მხარე, აღნიშნული კი უფრო მეტად სავარაუდო საფუძველია შეცდომისათვის. მაშინაც კი, თუ მხარეს გონივრულად სჯერა, რომ მეორე მხარის მიერ გაცემული ინფორმაცია იყო სწორი, ისინი ვერ გათავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებისაგან, თუ შეცდომაში შეყვანა იყო საკმაოდ სერიოზული ხასიათის; (ბ)ზიარი შეცდომა : თუ ორივე მხარის მიერ გარიგება დაიდო ფაქტების შესახებ არასწორი წარმოდგენის გავლენის ქვეშ, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას გარიგებაზე; (გ)წინასახელშეკრულებო ინფორმირების მოვალეობის დარღვევა; (დ)უზუსტობა კომუნიკაციაში.²¹

სსკ-ის მსგავსად, გსკ-შიც შეცდომის შესახებ დებულებები კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული. თუმცა, გერმანიისგან განსხვავებით, სსკ-ში შეცდომის სახეები უფრო დაკონკრეტებულია. შესაბამისად, შესაძლებელია შეცდომის სახეების დიფერენცირება განხორციელდეს შემდეგნაირად: გსკ-ი მოიცავს ოთხი სახის შეცდომას: ა) „შეცდომა შინაარსში“ (გსკ-ის §119 Iა); ბ) „შეცდომა განმარტებაში“ (გსკ-ის §119 Iბ); გ) „შეცდომა თვისებაში“ (გსკ-ის §119 II); დ) „შეცდომა გადაცემაში“ (გსკ-ის §120).²²

სსკ-ი ითვალისწინებს არსებითი შეცდომის ექვს სახეს : ა) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში (სსკ-ის 73 „ა“), ბ)შინაარსში დაშვებული შეცდომა (სსკ-ის 73 „ბ“), გ)გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა (სსკ-ის 73 „გ“), დ)შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში (სსკ-ის 74 I), ე)შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში (სსკ-ის 74 II), ვ)შეცდომა უფლებაში (სსკ-ის 75).

განსხვავებით გსკ-ისგან, სსკ-ში დაკონკრეტებულია შეცდომის სახეები, რომელთა არსებობაც კი არ იწვევს სამართლებრივ შედეგს.²³ შეცდომის სახეები კი, რომლებიც გსკ-შია მოცემული, არ არის ამომწურავი. ისინი გერმანულ

²¹ Fu, J, Modern European and Chinese contract law: A Comparative Study of Party Autonomy, Tilburg University School of Law, 2010, 70.

იხ. <https://pure.uvt.nl/ws/portalfiles/portal/7549119/Fu_modern_20_12_2010.pdf>, [20.06.2019].

²² ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

²³ ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი N2, 2011, 189-222; იხ. <<http://www.library.court.ge/upload/Sam%20journ%20N2%202011.pdf>> [20.06.2019].

სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში კიდევ უფრო განზოგადებულია. შესაძლოა ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ გსკ-ი არსებითი შეცდომის სახეებს არ ჰყოფს ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის მსგავსად.²⁴

მიზანშეწონილად მიმაჩნია სსკ-ში არსებითი შეცდომის სახეების ცალკეული ჩამონათვალის არსებობა. არამართებული იქნებოდა, გერმანული სამართლის მსგავსად, რამოდენიმე სახის არსებითი შეცდომის „შინაარსში დაშვებული შეცდომის“ სახელით გაერთიანება, რადგან აღნიშნული ფორმის ჩანაწერი უთუოდ გამოიწვევდა დაზნეულობასა და გაურკვევლობას.

შეცდომისგან განსხვავდება უცოდინრობა. მხარეები არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, როცა უცოდინრობა დაედო საფუძვლად გარიგების დადებას. შესაბამისად, თუ კონკრეტული გარიგება საცილო ან ბათილი არ ხდება, იმის გამო, რომ მას სამართლებრივი შედეგი არ აქვს, ამ შემთხვევაში შესაძლოა პარალელის გავლება მოტივში დაშვებულ შეცდომასთან.²⁵

ასევე, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოტყუება და შეცდომა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც შეცდომით და მოტყუებით დადებულ გარიგებათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზეა ყურადღება გამახვილებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ : „როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძვლად დაედო, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა

²⁴ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

²⁵ ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, N2, 2011, 189-222; იხ. <<http://www.library.court.ge/upload/Sam%20journ%20N2%202011.pdf>> [20.06.2019].

გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებებისას, ხელშეკრულების კონტრაქტი კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. სწორედ ამ მიზეზით, შეცდომით დადებული გარიგება, საცილო გარიგებათა შორის, ხანდაზმულობის ყველაზე მოკლე ვადას ითვალისწინებს. სამოქალაქო ბრუნვისათვის საზიანო იქნებოდა კეთილსინდისიერი მხარის კანონიერი ინტერესების ხანგრძლივად ეჭვქვეშ დაყენება გარიგების შეცილების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ გაიმიჯნოს შეცდომით და მოტყუებით დადებული გარიგებები, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები და უნდა დადგინდეს, რა გარემოებები დაედო საფუძვლად მხარეთა მიერ ნების გამოვლენას“.²⁶

მოტყუებით დადებული გარიგების დროს მხარეს, რომელსაც გარიგებით ზიანი მიადგა, ნებისმიერ შემთხვევაში აქვს უფლება მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება, განსხვავებით შეცდომით დადებული გარიგებისაგან, როცა შეცილება სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული.²⁷

თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს შემდეგს : „ნების გამოვლენის შეცილება, მოტყუების გამო, შეცდომის საფუძველით შეცილების უფლებას არ გამოორიცხავს. შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში მოტყუებისა და შეცდომის გამო შეცილების ნიშნები ერთდროულად არსებობდეს.“²⁸ განსხვავება ვლინდება ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებითაც. სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ვადად 1 თვეა განსაზღვრული, ხოლო 84-ე მუხლით მოტყუებით დადებული გარიგებების შეცილების ვადა - 1 წელია.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება №ას-1350-1275-2012.

²⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 377.

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინება.

სსკ-ში შეცდომის ლეგალური დეფინიციის არარსებობა კიდევ უფრო ართულებს შეცდომის და მოტყუების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. სრულებით შესაძლებელია, რომ მხარე გარიგებას საცილოდ ხდიდეს მოტყუების საფუძველზე, თუმცა, სასამართლომ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, სათანადო მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დაადგინოს, რომ სახეზეა არა მოტყუების, არამედ არსებითი შეცდომის წინაპირობები.

§2.2. არაარსებითი შეცდომის სახეები

სსკ-ი, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლის არსებითი შეცდომის სახეებს, იგი ამავე დროს აწესრიგებს შეცდომის ისეთ სახეებსაც, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც გამოირიცხება შეცილების უფლება. ასეთ შეცდომებს შეიძლება არაარსებითი შეცდომები ეწოდოს. სსკ-ში არაარსებითი შეცდომების ორ ძირითად სახეს ვხვდებით, კერძოდ, სსკ-ის 76-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს გარიგების მოტივში შეცდომას, ხოლო 78-ე მუხლი - წვრილმან შეცდომებს.

§2.2.1. შეცდომა გარიგების მოტივში

სსკ-ის 76-ე მუხლი აწესრიგებს მოტივში დაშვებულ შეცდომას. ზოგად პრინციპზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ მოტივს სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია.²⁹ ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც არაარსებითი შეცდომის ერთ-ერთ სახე.

თანამედროვე სამოქალაქო სამართლისთვის მოტივი მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ძირითადი მამოძრავებელი იმპულსი, რომლის გამოც შესაძლოა პირს სურდეს ან არ სურდეს სამართლებრივი შედეგის წარმოქმნის,

²⁹ ს. კიკოშვილი, *ნების ნაკლი ქართულ სამართალში*, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 14;
იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

შეცვლის ან შეწყვეტისკენ მიმართული მოქმედების შესრულება (ან თუნდაც ასეთი შესრულებისგან თავის შეკავება), არის მოტივი.³⁰ წარმოდგენები, რომლებსაც გარიგების ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეების ან გარიგების საგნის თვისებების შესახებ, გარიგების მოტივებს მიეკუთვნება.³¹

ნების მიმღების მიერ მხარის მოტივის აღსაქმელად ორი საშუალება არსებობს: მოტივის არსებითობაზე მხარემ ყურადღება უნდა გაამახვილოს ნების გამოვლენის დროს ან/და თვისება უნდა იყოს არსებითი სამოქალაქო ბრუნვისათვის. მხარის მოტივი კეთილსინდისიერი ნების მიმღების მხრიდან აუცილებლად ნების გამოვლენისას უნდა იყოს აღქმადი. თუ მხარე ნივთის სანაცვლოდ იხდის დიდ თანხას, მაშინ გამოდის, რომ საგნის ღირებულება მიაწინებს მხარის განსაკუთრებულ მოტივზე. ასეთ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მიმღები უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ მხარე განსაკუთრებული მოტივის გარეშე ამგვარ მოქმედებას არ განახორციელებდა.³²

მაგალითად, პირი, იმ მოტივით, რომ ჰგონია იქნეს ბრილიანტის ბეჭედს, გამყიდველს ბეჭდის სანაცვლოდ სთავაზობს 5 000\$-ს. თუ აღმოჩნდება, რომ ბეჭედი არის არა ბრილიანტის, არამედ იაფფასიანი ქვით გაწყობილი, რომელიც ბაზარზე ბრილიანტთან შედარებით გაცილებით იაფი ღირს, ასეთ შემთხვევაში, გონიერი გამყიდველისთვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა მოტივი ამოძრავებს მყიდველს გარიგების დადებისას.

გარიგების მოტივში შეცდომა მაშინ არის მოცემული, როცა ნების გამომვლენი ობიექტურად ავლენს ისეთ ნებას, რაც მას სუბიექტურად სურს რომ გამოავლინოს, თუმცა, ცდება ნების გამოვლენის განმაპირობებელ ფაქტორთან მიმართებით. ამ დროს სახეზეა შეცდომა ნების ფორმირების განმაპირობებელ

³⁰ *თუმანიშვილი გ.*, გარიგებები-სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 60.

³¹ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 373.

³² *კიკოშვილი ს.*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008,14;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

ფაქტორებში. ხელშეკრულების მხარეს ექმნება ისეთი სახის წარმოდგენები, რომელიც არც მეორე მხარისგან მომდინარეობს და არც მეორე მხარემ არ იცის.³³

როგორც წესი, გარიგების მოტივში შეცდომას გარიგების ბათილობა არ მოჰყვება. გარიგების დადებისას თითოეულ მხარეს აქვს ისეთი წარმოდგენები და ზრახვები, რომლებიც მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებული მოვლენებია და ისინი არ გამომდინარეობენ მოპირდაპირე მხარისაგან და არ მიიღება მხედველობაში მის მიერ.³⁴

იმ შემთხვევაში თუ სსკ-ი გარიგების მოტივში შეცდომას მიიჩნევდა გარიგების ბათილობის საფუძვლად, აღნიშნული გამოიწვევდა არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის, არამედ სამოქალაქო ბრუნვის დაუცველობას და არასტაბილურობის საფრთხესაც.³⁵

საინტერესოა, როდის განიხილება მოტივში შეცდომა გარიგების ბათილობის საფუძვლად? ამ კითხვაზე პასუხობს სსკ-ის 76-ე მუხლი: „შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა“.³⁶ ამ შემთხვევაში მოტივი არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან მხარემ გარიგების ნამდვილობა სწორედ მის არსებობას დაუკავშირა.³⁷

იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია ამ ნორმის შინაარსი და აღნიშნულია, რომ თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენს, იგი განიხილება როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა და მოტივად ვერ ჩაითვლება.³⁸

³³ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 444.

³⁴ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 232.

³⁵ თუმანიშვილი გ., გარიგებები-სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 61.

³⁶ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 310.

³⁷ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 233.

³⁸ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 444.

იქიდან გამომდინარე, რომ გარიგების მოტივის საკითხი ან გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებებთანაა დაკავშირებული, რთულია გაიმიჯნოს თუ როდის აქვს ადგილი შეცდომას გარიგების მოტივში და როდის შეცდომას პიროვნების ან საგნის ძირითად თვისებებში. შესაბამისად, გარიგების მოტივში შეცდომა დამატებით მოწესრიგებას არ საჭიროებს. ვინაიდან, თუ მოტივში შეცდომა შეთანხმების საგანია, მაშინ ასეთი შეცდომა შესაძლოა გარიგების პირობად ჩაითვალოს.³⁹

სსკ-ის 74-ე მუხლი არეგულირებს საერთო წესიდან გამონაკლისს, როდესაც ნების გამომვლენი მოტივში შეცდომის გამო აღიჭურვება შეცილების უფლებით. „შეცდომა მოტივში უნდა ატარებდეს იმდენად არსებით ხასიათს, რომ იწვევდეს შეცდომას გარიგების შინაარსში, რაც შემდგომ ხდება საცილოობის საფუძველი“.⁴⁰

შეცდომის ეს სახე განსხვავდება სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემადგენლობისგან (მხარეთა ერთობლივი არასწორი წარმოდგენისგან) იმით, რომ მოტივში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ერთი მხარის არასწორ წარმოდგენას.⁴¹

მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითი და წვრილმანი შეცდომისაგან სამართლებრივი შედეგით განსხვავდება. მოტივში დაშვებული შეცდომის დროს გარიგების საცილოდ გახდომა ან გარიგების შინაარსის შესწორება არ ხდება, არამედ გარიგების მონაწილე თავისუფალია ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისგან.⁴²

თუ სსკ-ი გარიგების მოტივში დაშვებულ შეცდომას ცალკე, 76-ე მუხლით არეგულირებს, გსკ-ში მსგავსი მიდგომა არ იკვეთება. სსკ-ის 76-ე მუხლს გსკ-ში ანალოგი არ აქვს.

³⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 374.

⁴⁰ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 15;
იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

⁴¹ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 444.

⁴² ჯორბენაძე ს, შეცდომის საფუძველზე ნების გამოვლენა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2011, 79;
იხ. <<http://www.library.court.ge/upload/42042012-04-04.pdf>> [20.06.2019].

გერმანულ სამართალში მოტივში დაშვებული შეცდომა შეუმჩნეველ შეცდომათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც არ განიხილება როგორც არსებითი შეცდომის ერთ-ერთი სახე. განსხვავება შეუმჩნეველ შეცდომასა და არსებით შეცდომას შორის მდგომარეობს იმაში, რომ მოტივში შეცდომის დროს პირმა არ იცის მის მიერ გამოვლენილი ნების საბოლოო შედეგის შესახებ. არსებითი შეცდომის დროს კი მას გააზრებული ჰქონდა ის შედეგი, რაც გარიგების დადებით უნდა მიეღო, თუმცა სრულიად განსხვავებული შედეგი მიიღო შეცდომის გამო.

შესაბამისად, მსგავსება სსკ-სა და გსკ-ს შორის არის ის, რომ შეცდომას გარიგების მოტივში არ გააჩნია სამართლებრივი შედეგი. პირს არ შეუძლია საცილოდ გახადოს ის, რაც მას გარიგების დადებამდე ჰქონდა წარმოდგენილი.⁴³

გერმანიის, საბერძნეთისა და ავსტრიის კანონმდებლობა, ყველა ერთად უარყოფს მოტივში დაშვებულ შეცდომას. ეს უარყოფა ასახავს სავინის თეორიულ განმასხვავებელ ნიშანს ორ ეტაპს შორის, კერძოდ, მომენტი, როდესაც მხარე აყალიბებს მის განზრახვას და როცა რეალურად გამოხატავს მას.⁴⁴

განსხვავება ქართულ და გერმანულ სამართალს შორის ვლინდება იმაშიც, რომ თუ ქართული სამართლის მიხედვით გარიგების მოტივის საკითხი დაკავშირებულია გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან, ან საგნის ძირითად თვისებებთან. გერმანული სამართლის მიხედვით შეცდომის ამ სახეებთან ერთად, უფლებაში შეცდომაც დაკავშირებულია გარიგების მოტივთან.⁴⁵

⁴³ *ჯორბენაძე ს.*, შეცდომის საფუძველზე ნების გამოვლენა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2011, 79;

იხ. <<http://www.library.court.ge/upload/42042012-04-04.pdf>> [20.06.2019].

⁴⁴ *Ruth Sefton-Green*, Mistake, Fraud and Duties to Inform In European Contract Law, Cambridge University Press, 2005, 20.

⁴⁵ *კიკოშვილი ს.*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 16;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

§2.2.2. წვრილმანი შეცდომები

კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც გამორიცხულია შეცდომების უფლება შეცდომით დადებული გარიგების გამო, მოწესრიგებულია სსკ-ის 78-ე მუხლით.⁴⁶ ამ ნორმით გათვალისწინებული წვრილმანი შეცდომები მიეკუთვნება გარიგების შინაარსში დაშვებულ შეცდომებს.⁴⁷

ზოგადად, ამ მუხლის მიზანი სამართლებრივად ლოგიკური შედეგის მოწესრიგებაა. დაუშვებელია წვრილმანი შეცდომის გამო მხარის მიერ გამოვლენილი ნება საცილო გახდეს. მხარეებმა ამ შემთხვევაში თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მათ მიერ გამოვლენილი ნების არაარსებითი ცვლილება განახორციელონ.⁴⁸

შესაბამისად, სსკ-ის 78-ე მუხლი უკავშირდება კეთილსინდისიერების პრინციპს და იცავს ხელშეკრულების მხარეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგი, რაც გამოიწვია წვრილმანმა შეცდომამ.⁴⁹ სსკ-ი არ იძლევა წვრილმანი შეცდომის დეფინიციას. გამონაგარიშებებში დაშვებული წვრილმანი შეცდომა უნდა შეფასდეს ობიექტური ფაქტორებიდან უფრო, ვიდრე სუბიექტურიდან.⁵⁰

შედარებისთვის, გერმანული სამოქალაქო სამართლის პრაქტიკაში წვრილმანი შეცდომის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა ნივთის საბაზრო ღირებულებასა და შეცდომის გამოსწორების სიმარტივეს. გარიგების მონაწილე მხარის მიერ წვრილმანი შეცდომა შესაძლოა დაშვებულ იქნეს როგორც ნივთის თვისებაში, ისე ნივთის გადაცემის დროსაც. დამოუკიდებლად იმისაგან, რომ სამოქალაქო სამართალი არ განსაზღვრავს წვრილმანი შეცდომის ცნებას, ასეთი შეცდომის დაშვებისას მხარის ნება რეალურად უნდა იყოს გამოვლენილი და

⁴⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 447.

⁴⁷ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 313.

⁴⁸ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 338.

⁴⁹ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 447.

⁵⁰ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 235.

არაარსებითი შეცდომის ეს სახე გამოსწორებადი უნდა იყოს გარიგების დადების მომენტშივე.⁵¹

ზოგადად, გარიგების შეცილებისა და შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა გამოირიცხება, თუ შეცდომა დაშვებულია გამოთვლაში. ეს იმით აიხსნება, რომ დაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გამო (რომლის საფუძველზეც ფასი იქნა განსაზღვრული და შეთავაზებული გარიგების მეორე მხარისათვის), რისკი იმ პირზე გადადის, ვინც არასწორად ანგარიშობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როცა დაანგარიშებაში შეცდომის დამშვებ პირს, ფასის ცალმხრივად არასწორად გამოთვლის გამო, ნებისმიერ დროს შეეძლებოდა ხელშეკრულების შეცილება.⁵²

თუმცა, შესაძლებელია გარიგების მხარეებმა „გამოანგარიშებებში“ არსებითი შეცდომაც დაუშვან. თუ ასეთი შეცდომა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილია, შესაძლოა იგი შეცილების საფუძველი გახდეს.⁵³ იმ შემთხვევაში, თუ გამოთვლის მეთოდი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, მაშინ მხარეს სსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით შეუძლია მოითხოვოს გამოანგარიშებებში დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

რაც შეეხება დაფარულ შეცდომას დაანგარიშებაში, იგი სახეზეა მაშინ, როდესაც დაანგარიშების საფუძველი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი არ არის. ასეთი შეცდომა განიხილება მოტივში დაშვებულ შეცდომად.⁵⁴

ნების გამოვლენის ადრესატის ქმედება უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა, თუ იგი თანხმობას აცხადებს მხარის მიერ არასწორად დაანგარიშებულ შეთავაზებაზე, მაშინ, როცა მისთვის ცნობილია გამოთვლაში მხარის მიერ დაშვებული შეცდომის შესახებ ან ასეთი გარემოების ცოდნის შესაძლებლობას არაკეთილსინდისიერად უშვებს. მისი ქმედება არაკეთილსინდისიერებად

⁵¹ *ჯორბენაძე ს.*, გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁵² *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 447.

⁵³ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 338.

⁵⁴ *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 448.

შეფასდება მაშინაც, როცა მისთვის ცნობილია, რომ დაანგარიშებაში შეცდომა ნების გამომვლენისათვის შეიძლება მძიმე ფინანსური შედეგის მომტანი იყოს.⁵⁵

თუ არაარსებითი შეცდომა დაშვებულია წერილობით ფიქსირებულ ნების გამოვლენაში და დაშვებული არაარსებითი შეცდომა არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, მაშინ მეორე მხარეს არ აქვს შეცილების უფლება იმ შემთხვევაში, თუ შეცდომაში მყოფი მხარე გამოსაწორებს ასეთ შეცდომას.⁵⁶

გსკ-ის §119-ე მუხლი მოიცავს გამოთვლაში დაშვებულ შეცდომას, რომელიც ქართული სამართლის მსგავსად, არაარსებით შეცდომად განიხილება. თუმცა განსხვავებით სსკ-გან, გამოთვლაში დაშვებული შეცდომა გსკ-ში წვრილმან შეცდომად არ მიიჩნევა და შესაბამისად, ცალკე მუხლით არ რეგულირდება. გერმანული სამართლით იგი შესაძლოა განმარტებაში დაშვებული შეცდომის ერთ-ერთ სახედ მოიაზრებოდეს.⁵⁷

ქართული სამართლის მსგავსად, გერმანულ სამართალშიც გამოთვლაში შეცდომად არ მიიჩნევა, როდესაც პირს წესით უნდა სცოდნოდა რეალური ფაქტის შესახებ და მან ეს ცალკეულ მიზეზთა გამო არ გაითვალისწინა.⁵⁸

გსკ-ის სასწავლო კომენტარში აღნიშნულია, რომ: „შეცდომა გამოთვლაში, რომლის დროსაც განმცხადებელი გამოთვლისას მხედველობიდან უშვებს მნიშვნელოვან ციფრებს ან გამოთვლისას უშვებს შეცდომას, მაინც არის არაარსებითი შეცდომა მოტივში, როდესაც ხდება გარიგების მეორე მხარისათვის მხოლოდ გამოთვლის შედეგის შეტყობინება და არა დეტალური კალკულაციის წარდგენა.“⁵⁹

⁵⁵ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 448.

⁵⁶ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 313.

⁵⁷ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107. იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁵⁸ იქვე, 93.

⁵⁹ კროფკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 43

თავი III. არსებითი შეცდომის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

სსკ-ში არსებითი შეცდომის სახეები დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული, რადგან ასეთი გზით გამოირიცხება ბუნდოვანება შეცდომის თითოეულ სახესა და მის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.⁶⁰

იმისათვის, რომ შეცდომა არსებითად შეფასდეს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გარემოება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული წინაპირობებიდან გამომდინარეობს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეცდომის არსებითობის შეფასება სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს.⁶¹

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ: „შეცდომის არსებითი ხასიათი სახეზეა მაშინ, როდესაც გარიგების დროს ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით ნების შეცდომით გამომვლენი პირი ვითარების რეალური აღქმის და ცოდნის შემთხვევაში ნებას საერთოდ არ გამოავლენდა, ან გამოავლენდა განსხვავებული კონტექსტით, რადგან შეცდომიანი ნების გამოვლენის ვითარებაში ნების გამომვლენი ექცევა არასასურველ სამართლებრივ ბოჭვაში“.*⁶²

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რას მოიმოქმედებდა „გონიერი ადამიანი ან ცდომილებაში მყოფი პირი“, ხელშეკრულების დადების დროს მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო საქმესთან დაკავშირებული ნამდვილი გარემოებების შესახებ. შეცდომა მაშინ ჩაითვლება არსებითად, როცა პირი საქმის ნამდვილი გარემოებების ცოდნის შემთხვევაში საერთოდ არ დადებდა გარიგებას, ან დადებდა მას, თუმცა სხვაგვარი პირობებით.⁶³

⁶⁰ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107. იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁶¹ ბურდული ი., გაჩერელია ა., და სხვ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 412.

⁶² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება.

⁶³ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 224.

კანონით დგინდება თუ რა სახის შეცდომა წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგს და გამოირიცხება სამართლებრივი შედეგის დადგომა ყოფით ცხოვრებაში დაშვებული ნებისმიერი შეცდომის გამო.⁶⁴

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები არსებითი შეცდომის სახეებთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი შეცდომის ექვს არსებით სახეზე ამახვილებს ყურადღებას და გარიგების მოტივში დაშვებულ შეცდომას არსებით შეცდომათა კატეგორიას არ მიაკუთვნებს. ზოგიერთი ავტორი ჩამოთვლის არსებითი შეცდომის შვიდ სახეს, რომელთა შორისაა შეცდომა გარიგების მოტივში, ზოგიერთიც კი ხუთი სახის არსებით შეცდომაზე აკეთებს აქცენტს.⁶⁵

რადგან მოტივში შეცდომა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იქნეს განხილული, როგორც არსებითი შეცდომის ერთ-ერთი სახე, (კერძოდ, მაშინ, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანი იყო) ამიტომ, ვთვლი, რომ ცალსახად მისი განხილვა, როგორც არსებითი შეცდომა, არამართებულია.

სსკ-ის 73-ე მუხლი ითვალისწინებს არსებითი შეცდომის იმ სახეების ჩამონათვალს, რომლებიც შეცილების საფუძველს წარმოადგენენ. თუმცა, არსებითი შეცდომის სხვა სახეები მოცემულია სსკ-ის მომდევნო მუხლებშიც.⁶⁶

გერმანული სამართლის მსგავსად, სსკ-ი არ ითვალისწინებს არსებითი შეცდომის დეფინიციას. გერმანიაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, თუ პირის სურვილი და მისი ნების გამოვლენა არ შეესაბამება ერთმანეთს, მაშინ

⁶⁴ ს. ჯორბენაძე, *გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით*, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011,77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁶⁵ 2017 წელს გამოცემულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში, (წიგნი I) აღნიშნულია არსებითი შეცდომის ექვსი ძირითადი სახე, (გვ.417), არსებითი შეცდომის შვიდ სახეზე საუბრობს ამირანაშვილი გ., თავის ნაშრომში „შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში - ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება“ (გვ.75-76), ხოლო არსებითი შეცდომის ხუთ სახეს ჩამოთვლის ჯორბენაძე ს., თავის ნაშრომში „შეცდომის საფუძველზე ნების გამოვლენა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში“ (გვ.45-46) და „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით“, რომელშიც 81 გვერდზე უთითებს არსებითი შეცდომის 6 სახეზე, ხოლო 97 გვერდზე არსებითი შეცდომის 5 სახეზე. ჩამონათვალი არ ითვალისწინებს საგნის ძირითად თვისებაში დაშვებულ შეცდომას.

⁶⁶ *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 416.

ადგილი აქვს შეცდომას. გერმანულ სამართალში გამოიყოფა არსებითი შეცდომის ოთხი ძირითადი სახე, რომელთა არსებობა პირს ანიჭებს შეცილების უფლებას. შეცდომის არსებითად მიჩნევისათვის უპირველესი საფუძველი არის ის შედეგი, რომელიც პირის მიერ ნების გამოვლენას სდევს თან.⁶⁷

რადგან არსებითი შეცდომის არსებობა საფუძველია პირის მიერ გარიგების შეცილებისა, უპრიანი იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ აწესრიგებს ქართული და გერმანული სამართალი შეცილების საკითხს.

სსკ-ის 72-80-ე მუხლებით გათვალისწინებული არსებითი შეცდომის არსებობა გარიგებას ავტომატურად ბათილს არ ხდის. გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია უფლებამოსილმა პირმა განაცხადოს შეცილება.⁶⁸ შეცილება ხორციელდება შემცდარი მხარის მიერ მეორე მხარის წინაშე განცხადების გაკეთებით.

„შესაბამისად, საცილობის წინაპირობაა ის, რომ ნების გამოვლენაზე გავლენა უნდა მოახდინა შეცდომას, ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის „სუბიექტურ“ შეცდომასა და მისი ნების გამოვლენას შორის. ამასთან, ეს შეცდომა „ობიექტურად“ „არსებითად“ უნდა იყოს მიჩნეული“.⁶⁹

გარიგების შეცილების შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ საცილო გარიგება ბათილად იქნება ცნობილი, ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგება ბათილია დადების მომენტიდანვე და იგი არაა დაკავშირებული სასამართლოს მიერ გარიგების ასეთად ცნობის მომენტთან.⁷⁰

⁶⁷ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107. იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁶⁸ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 449.

⁶⁹ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 318-319.

⁷⁰ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2001, 289.

გერმანული სამართალიც ანალოგიურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს. გსკ-ის მიხედვით საცილო გარიგება ბათილად მიიჩნევა საწყისი მომენტიდან, ანუ გარიგების დადების მომენტიდანვე.⁷¹

ყოველგვარი შეცდომის გარიგების ბათილობის საფუძველად მიჩნევა, უარყოფითად იმოქმედებდა სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობაზე და მხარეს, რომლისთვისაც გარიგება არ აღმოჩნდებოდა სარგებლის მომტანი, შეცდომის დაშვების შემთხვევაში მიენიჭებოდა გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება, რისი მაგალითებიც არსებობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.⁷² ასევე, მხარეთათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გარდა, წინააღმდეგობაში მოვიდოდა pacta sunt servanda-ს (ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს) პრინციპთანაც.⁷³

*„შეცდომით დადებული გარიგების დროს ერთმანეთის პირისპირ იმყოფება ორი ინტერესი-შემცდარი ადამიანის, რომელმაც ამ შეცდომის გამო ზიანი ნახა და გამდიდრებული ადამიანის, რომელმაც მეორე მხარის შეცდომის გამო, მაგრამ კეთილსინდისიერად ნახა სარგებელი“.*⁷⁴

მხარის მიერ გარიგების შეცილებას, თუ შედეგად მოჰყვა გარიგების ბათილად ცნობა, მაშინ მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულება სსკ-ის 976 მუხლის პირველი ნაწილის (ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძველები) საფუძველზე, რადგან გარიგების ბათილად ცნობამ გამოიწვია ვალდებულების შეწყვეტა. მოთხოვნა შეიძლება დაეფუძნოს 172 მუხლის პირველ ნაწილს (ვინდიკაცია).⁷⁵

გერმანულ სამართალში შეცდომის გამო შეცილება მოწესრიგებულია გსკ-ის §119-ე პარაგრაფით. BGB არ უშვებს გარიგებაზე ცალმხრივად უარის თქმის

⁷¹ კროფჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 45.

⁷² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 366.

⁷³ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 411.

⁷⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 365.

⁷⁵ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 414.

შესაძლებლობას ყველა შეცდომის გამო, არამედ მხოლოდ იმ სამი სახის შეცდომის გამო, რომელიც ჩამოთვლილია 119-ე პარაგრაფში.⁷⁶

აუცილებელია აღინიშნოს ის, რომ დღეის მდგომარეობით, საზღვარგარეთის ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს საკითხს, თუ რა მომენტიდან შეუძლია შეცდომაში მყოფ პირს განაცხადოს შეცვილება.

გსკ-ის 121-ე I პარაგრაფის მიხედვით, შეცილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაცხადებული.⁷⁷ ასეთი ჩანაწერი გერმანულ სამართალში იწვევს დავას, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად „დაუყოვნებლივ“ მოხდა ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შეატყობინება.⁷⁸

სსკ-ის 79-ე მუხლი კი შეცილების განსხვავებულ ვადას ადგენს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით : „შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში“.⁷⁹

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული და გერმანული სამართალი შეცილების გამორიცხვისათვის მსგავს ვადას ითვალისწინებს. გსკ-ის §121 (2) პარაგრაფის მიხედვით: „შეცილება გამორიცხულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი“.⁸⁰

გერმანულ სამართალში შეცილების უფლება გამოირიცხება თუ პირმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა რომ არსებობდა საფუძველი, რომელიც გარიგებას საცილოს გახდიდა.⁸¹

გსკ-ის 119-ე I პარაგრაფის თანახმად, პირს შეცდომის გამო თავის მიერ გამოვლენილი ნების შეცილების უფლება მაშინ ენიჭება, „თუ სავარაუდოა, რომ იგი მას გარემოებათა ცოდნისა და ვითარების გააზრებულად შეფასების

⁷⁶ Robert A. Riegert., Unilateral Mistake Under the West German Civil Code and Some Comparisons, ob. <<https://scholar.smu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4232&context=til>>, [20.06.2019].

⁷⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 339.

⁷⁸ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 450.

⁷⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 79 I.

⁸⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სიესტა, თბილისი, 2010, §121 II.

⁸¹ ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი N2, 2011, 189-222;

ობ. <<http://www.library.court.ge/upload/Sam%20journ%20N2%202011.pdf>> [20.06.2019].

შემთხვევაში არ გამოავლენდა.“ გარდა ამისა, გსკ-ის §122 პარაგრაფი უზრუნველყოფს შეცდომების ადრესატის სრულფასოვან დაცვას.⁸²

მნიშვნელოვანი განსხვავება სამ ევროპულ იურისდიქციას შორის, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, უკავშირდება შემთხვევას, როდესაც ერთი მხარისათვის უცნობია სხვისი შეცდომა მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებული ტერმინის ფარგლებში. ეს წესია წარმოდგენილი BGB-ის §122 მე-2 პარაგრაფში, მაშინ როდესაც საფრანგეთის კანონმდებლობაში შესაბამისი შეცდომა არ არის საპატიო. უფრო მეტიც, BGB-ის §119-ე და §122-ე პარაგრაფების ფარგლებში შესაძლებელია აღინიშნოს, რომ იგივე მიდგომა არის გამოყენებული, როდესაც შეუმცდარი მხარისათვის არ იყო ცნობილი შეცდომის შესახებ, შემცდარ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ აიღოს პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანის გამო.⁸³

გერმანული სამართლისთვის დამახასიათებელი ის არის, რომ იგი არ პასუხობს კითხვაზე, არის თუ არა შეცდომა ბრალეულობის მიზეზი, იყო თუ არა ამის შესახებ ცნობილი პარტნიორისთვის ან შეცდომა მისი მიზეზით იყო თუ არა დაშვებული, თუმცა მას არ ჰქონია ბოროტი განზრახვა.⁸⁴

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს ასკ-ი. შეცდომაში მყოფ მხარეს შეუძლია საცილო გახადოს გარიგება სამიდან ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, კერძოდ: 1)შეცდომა მეორე მხარის მიზეზით იქნა გამოწვეული, 2)გარემოებები ხდიდნენ შეცდომას ნათელს და ეს აშკარად შესამჩნევი იყო მეორე მხარისათვის, 3)შეცდომაზე განცხადება დროულად გაკეთდა.⁸⁵

⁸² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 324.

⁸³ Jonathan Beech, Mistake over the terms of a contract: A comparative analysis of England, France and Germany, ob. <<https://sites.google.com/site/349924e64e68f035/issue-6/mistake-over-the-terms-of-a-contract-a-comparative-analysis-of-england-france-and-germany>>, [20.06.2019].

⁸⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ჯისიაი, თბილისი, 2001, 100.

⁸⁵ იქვე.

§3.1. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში

სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არსებითი შეცდომის პირველ სახეს, შეცდომას გარიგების ტიპის არჩევაში. არსებითი შეცდომის აღნიშნულ სახეს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მხარეთა მიერ დადებული გარიგება მთელი თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა შეფასდეს სრულიად სხვა გარიგებად, ვიდრე ის გარიგება, რომელზეც ერთმა ან თუნდაც ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი.⁸⁶

თუ მხარემ წინასწარ იცის არასასურველი გარიგების შესახებ, მაშინ ასეთი შეცდომა ვერ იქნება მიჩნეული გარიგების ტიპში დაშვებულ შეცდომად.⁸⁷

გარიგების ტიპში შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნეს გარიგების მონაწილე ერთი ან ორივე მხარის მიერ. ასეთი შეცდომის გამომწვევ მიზეზად კი შესაძლოა სხვადასხვა გარემოება დასახელდეს, როგორცაა, შუამავლის მიერ დაშვებული ცდომილება, სიჩქარე და სხვ.⁸⁸

ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში, გარდა შეცდომით დადებული სხვა გარიგებისა, მოიაზრებს თუ არა ასევე შეცდომას ამ გარიგების შიგნითაც. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომა შეცდომით დადებული სხვა გარიგებების სახესთან ერთად წარმოადგენს შეცდომას ამ გარიგების შიგნითაც. ნაწილი კი საპირისპირო პოზიციას ავითარებს და აღნიშნავს, რომ გარიგების ტიპში დაშვებული შეცდომის ასეთი განმარტება შესაძლოა იწვევდეს შეცდომის ამ სახის სხვა სახეებში არევას, მაგალითად, შინაარსში დაშვებულ შეცდომასთან (73 „ბ“). აქედან გამომდინარე აღნიშნავენ, რომ 73 „ა“ მუხლი, რომლის არეალი ვერ გავრცელდება „გარიგების შიგნით“ დაშვებულ შეცდომაზე, შესაძლოა

⁸⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 418.

⁸⁷ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107. იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

⁸⁸ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 225.

დამატებით მოიაზრებდეს მხოლოდ „ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებულ შეცდომას.“⁸⁹

აუცილებელია დაზუსტდეს სსკ-ის 73 „ა“ მუხლის გამოყენების წინაპირობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ერთი ტიპის გარიგებას დებენ იმისათვის, რომ გადაფარონ მეორე ტიპის გარიგება ან მარტივად მიაღწიონ სამართლებრივ შედეგებს.⁹⁰ აღნიშნული მუხლის მოწესრიგების სფერო შესაძლოა ისეთ შემთხვევასაც მოიცავდეს, როცა პირი გაუაზრებლად იყენებს ნების გამოვლენის ნიშანს, მაშინ, როდესაც მას არ სურს ნების გამოვლენა (მაგ., ხელს იწევს აუქციონზე ცდომილების გამო).⁹¹

ე.წ. *falsa demonstration*-ს სამოქალაქო სამართალში არ წარმოშობს შეცდომის საფუძველს. აღნიშნული მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც გარიგებას ენიჭება მცდარი, არასწორი სახელი. ამ შემთხვევაში, ნების გამომვლენმა პირმა არ უნდა იცოდეს დაშვებული შეცდომის შესახებ. გამოირიცხება შეცდომის არსებობა, თუ ნების გამომვლენ პირს ეჭვი შეაქვს თავისი წარმოდგენების მართებულობაში.⁹²

Falsa demonstration-თან დაკავშირებით ორ შემთხვევაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: პირველ შემთხვევაში მხარეს წარმოდგენა არ აქვს („არ არის დაინტერესებული ნების გამოვლენის შინაარსის გაცნობით“) ნების გამოვლენის შინაარსზე და მეორე შემთხვევა, როდესაც მხარეს აქვს წარმოდგენა, თუმცა ეს წარმოდგენა მცდარია. პირველ შემთხვევაში არ წარმოიშობა შეცდომის უფლება.⁹³

მეორე შემთხვევაში, როდესაც პირი წაუკითხავად აწერს ხელს დოკუმენტს და მის შინაარსთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენა აქვს ან მაშინ, როდესაც

⁸⁹ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში ასევე გულისხმობს შეცდომას ამ გარიგების შიგნითაც, ვხვდებით ს. ჯორბენაძის ნაშრომში : „გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით“, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 82. საპირისპირო მოსაზრება კი წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, წიგნი I, თბილისი, 2017, 419.

⁹⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 420.

⁹¹ იქვე, 422.

⁹² იქვე, 411.

⁹³ იქვე, 422-423.

უხეშ გაუფრთხილებლობას აქვს ადგილი, როგორც წესი, შეცილების უფლება პირს მიენიჭება შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო (სსკ-ის 73-ე „ბ“ მუხლი). ამისგან განსხვავებით, სსკ-ის 73-ე „ა“ მუხლის მოქმედების სფეროშია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს სრულიად სხვა ტიპის გარიგების დადება სურდა და სინამდვილეში სხვა გარიგებას მოაწერა ხელი.⁹⁴

*დ. კერესელიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ სსკ-ის 73-ე „ა“ მუხლი მხოლოდ „გარიგების სახეში შეცდომას“ ეხება“.*⁹⁵

გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი შვეიცარიული კოდექსიდან იქნა გადმოღებული, ქართული თარგმანის გამო მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღნიშნულმა ნორმამ სრულიად სხვა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა.⁹⁶

აღსანიშნავია ისიც, რომ სსკ-ი „გამოვლენის შეცდომას“, როგორც არსებითი შეცდომის სახეს არ ითვალისწინებს, ამიტომ, მიზანშეწონილია სსკ-ის 73 „ა“ მუხლი ფართოდ განიმარტოს და მასში მოიაზრებოდეს არსებითი შეცდომის ისეთი შემთხვევები, როდესაც შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებშია დაშვებული (ე.წ. „მექანიკური“ შეცდომა).⁹⁷

სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი გულისხმობს თუ არა ნების გამოვლენაში დაშვებულ შეცდომასაც, ამის გასარკვევად ნორმის ფორმულირების განმარტებას უნდა მიექცეს ყურადღება, კერძოდ - „არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა“.⁹⁸ „ასეთი შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ

⁹⁴ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 424.

⁹⁵ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 325.

⁹⁶ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 27;
იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

⁹⁷ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 418.

⁹⁸ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 28;
იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომელიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა, ანუ იგი არ შეესაბამება გამომვლენის რეალურ ნება-სურვილს. როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამომვლენი (მექანიკურად) წერილობით ან ზეპირად უშვებს არსებით შეცდომას. შეცდომის ეს სახე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია ასევე, როგორც „ხელის წაცდენის“ შემთხვევა.⁹⁹

„ხელის წაცდენად“ მიიჩნევა ისეთი შეცდომები, რომლებსაც ნების გამომვლენი გაუცნობიერებლად უშვებს მეტყველებისას, წერისას ან სხვა მოქმედების განხორციელებისას.¹⁰⁰

§3.2. შინაარსში დაშვებული შეცდომა

სსკ-ში შინაარსში დაშვებული შეცდომა ნების ფორმირების ნაკლს ასახავს. ნების ფორმირების ასეთი ნაკლი სუბიექტური ხასიათისაა, რომელიც სახეზეა მაშინ, როდესაც პირის შინაგანი ნება არასწორად არის ფორმირებული.¹⁰¹

სსკ-ის 73-ე „ბ“ პუნქტი შინაარსში შეცდომას არსებით შეცდომად განიხილავს. ეს ის შემთხვევაა, როცა „პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურს“.¹⁰²

„შეცდომა ნების შინაარსში მაშინაა, როცა ნების გამომვლენს არასწორი წარმოდგენა აქვს ნების შინაარსზე, რის შედეგადაც იგი ნების მიმღებისაგან განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას. მხარეს სუბიექტურად მცდარი

⁹⁹ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 417.

¹⁰⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 325.

¹⁰¹ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 9;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

¹⁰² ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 225.

წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ობიექტურად გამოვლენილი ნების შინაარსზე, მის მნიშვნელობაზე“.¹⁰³

გარიგების შინაარსში შეცდომა განსხვავდება გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომისგან. როცა მხარე შინაარსში უშვებს შეცდომას, სახეზეა ისეთი ვითარება, როდესაც მხარის შინაგანი ნება ემთხვევა გამოვლენილ ნებას, შესაბამისად, მას სურს გარიგების დადება. მაგრამ, „მხარეს სურდა ამ გარიგებაში სრულიად სხვა აზრი, სხვა შინაარსი ჩაეესოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა“. ასეთი შემთხვევა შეცდომად რომ დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია ნების გამოვლენის განმარტება. გარიგების შეცილების უფლება არ წარმოიშობა, თუ ნების გამოვლენის განმარტებით დადგინდება, რომ შესაძლოა ნების გამოვლენის მიზნის მიღწევა.¹⁰⁴

*„ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომისაგან განსხვავებით, შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, ნების გამომვლენის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება შეესაბამება მის შინაგან ნებას. ნების გამომვლენმა იცის რასაც ამბობს, მაგრამ მან არ იცის ის, თუ ამ ქმედებით რა შედეგი დგება. შინაარსში შეცდომას შესაძლოა უშვებდეს როგორც ნების გამომვლენი, ასევე ნების მიმღებიც“.*¹⁰⁵

თუ მხარე ან მხარეები ნების გამოსახატავად გარიგებაში არსებულ სიტყვებს ან ნიშნებს სრულიად სხვა აზრით იყენებენ, (რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს იურიდიული ტერმინების, უცხო ენის არცოდნა), ასეთი შემთხვევა შინაარსში დაშვებულ შეცდომად განიხილება.¹⁰⁶

შესაბამისად, რადგან ნების გამომვლენი ნების გამოვლენისას ცდება სიტყვის ან წინადადების ობიექტურ მნიშვნელობაში, ასეთ ვითარებაში, შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევები თავის თავში მოიცავს არსებითი შეცდომის

¹⁰³ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 12;
იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

¹⁰⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 368.

¹⁰⁵ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 425.

¹⁰⁶ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 225.

სამ სახესაც, კერძოდ: „გარიგების სახეში შეცდომას“, „პირში შეცდომას“ და „გარიგების საგანში შეცდომას“.¹⁰⁷ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ი ითვალისწინებს შინაარსში დაშვებული შეცდომის მომწესრიგებელ ზოგად ნორმას.¹⁰⁸

*„შეცდომის საფუძველზე შეცილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს, რომ პირი მსგავსი შინაარსის ნებას არ გამოავლენდა გარემოებათა სწორად აღქმის შემთხვევაში; მეორე მხრივ კი, ობიექტურად მისი ნება სხვა მნიშვნელობით უნდა აღიქმებოდეს გონიერი დამკვირვებლის მიერ“.*¹⁰⁹

გარიგების შეცილების უფლება გამორიცხულია, თუ მხარე ნების გამოვლენის ნიშანს შეცდომით იყენებს, თუმცა მეორე მხარე ამჩნევს ან/და გაუფრთხილებლობის გამო ვერ ამჩნევს და მას ასეთი შეცდომა სხვადასხვა გარემოებისდა გამო უნდა შეემჩნია. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ნების გამომვლენის ის შინაარსი, რაც შეცდომაში მყოფმა მხარემ გარიგებას საფუძვლად დაუდო.¹¹⁰

მაგალითად, გამყიდველმა და მყიდველმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რადგან მანქანას გამყიდველი 10 000\$-ად ყიდდა, ეს ღირებულება კი მყიდველისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. მოგვიანებით გამყიდველმა შეცდომით მიწერა მყიდველს, რომ მანქანას 1 000\$ მიყიდდა. მყიდველმა კი მაშინვე განუცხადა თანხმობა გამყიდველს. ამ შემთხვევაში, ითვლება, რომ ხელშეკრულება მაინც 10 000\$-ზე დაიდო, რადგან მეორე მხარეს უნდა სცოდნოდა, რომ გამყიდველმა შეცდომა დაუშვა. მას არ უნდა „დაეჯერებინა“, რომ გამყიდველი 9 000\$-ს ასე მარტივად დააკლებდა. მყიდველს უფლება აქვს, შინაარსში დაშვებული

¹⁰⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 326-327.

¹⁰⁸ იქვე, 328.

¹⁰⁹ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 12;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

¹¹⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 426.

შეცდომის გამო საცილოდ გახადოს 10 000\$-ზე დადებული გარიგება. ანალოგიური წესი ვრცელდება ცალმხრივი ნების გამოვლენაზეც.¹¹¹

რაც შეეხება ფარული უთანხმოების მოწესრიგებას, ქართული და გერმანული სამართალი აღნიშნულ საკითხს ერთნაირად არეგულირებს. გსკ-ის სასწავლო კომენტარში ვკითხულობთ, რომ: „თუ ყველა გარემოების გულმოდგინე ანალიზის შემთხვევაში განმარტება ავლენს იმას, რომ არ ხდება ნების გამოვლინებების თანხვედრა, მაშინ სახეზეა ფარული უთანხმოება (§155). ამდენად, ხელშეკრულება საერთოდ არ იდება და შეცდომის გამო (ხელშეკრულების დადების შემდეგ) შეცილება აზრს კარგავს.“¹¹²

სსკ-ის 73-ე „ბ“ მუხლი გსკ-ის 119-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის ანალოგია. გსკ-ის ამ მუხლით ზოგადი ფორმულირებაა მოცემული, რომელიც ნების შინაარსში დაშვებულ შეცდომას ეხება.¹¹³

გსკ-ის §119 პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად ნების შინაარსი შესაძლოა შეცილებულ იქნეს, თუ არ შეესაბამება იმას, რაც თავად შინაარსში უნდა ჩადონ მხარეებმა. იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა დათქმვა გაკეთებული ნების გამოვლენისას ან სახეზეა კალმის შეცდომა (იგულისხმება ისეთი შეცდომა, რომელიც დაშვებულია ნების გამოვლინების გამოხატვაში).¹¹⁴ „ამ დროს განმცხადებელი აჟღერებს იმას, რაც მას სურს, თუმცა იგი ცდება თავისი განცხადების მნიშვნელობაში. განმცხადებელმა იცის, რასაც ამბობს, მაგრამ მან არ იცის ის, თუ ამით რისი თქმა გამოსდის.“¹¹⁵

¹¹¹ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 426.

¹¹² კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 40-41.

¹¹³ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 12-13;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

¹¹⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ჯისიაი, თბილისი, 2001, 99.

¹¹⁵ კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 42.

გსკ-ს მიხედვით შინაარსში დაშვებული შეცდომა არსებითი შეცდომის სახეა, რომლის არსებობა შედეგად გარიგების ბათილობას იწვევს.¹¹⁶ გსკ-ი ასევე ითვალისწინებს განმარტებაში დაშვებულ შეცდომას. იგი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა პირი თავის ნებას არასასურველი ფორმით გადასცემს ადრესატს.

ორი არსებითი სახის შეცდომის - შინაარსში დაშვებული შეცდომისა და განმარტებაში დაშვებული შეცდომის ერთმანეთისაგან გასამიჯნად მხედველობაში მიიღება შეცდომის დამშვები პირის წარმოდგენები.

*„კონკრეტული შინაარსის ვერ გაგება, განმარტებაში დაშვებული შეცდომის სახე იქნება, ხოლო შინაარსის ვერ გააზრება - შინაარსში დაშვებული შეცდომის“.*¹¹⁷ შესაბამისად, ორივე სახის შეცდომის არსებობა საფუძველია გარიგების ბათილად ცნობისათვის.

გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნების შინაარსში შეცდომა (სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტის არასწორად აღქმა) გარიგების ტიპში შეცდომის, გარიგების ობიექტში შეცდომისა და პიროვნებაში შეცდომის გარდა, ასევე მოიცავს, „იდენტურობის შეცდომას“, რომელშიც შედის გარიგების საგანში შეცდომა, შეცდომა კონტრაქტში, შეცდომა გარიგების სამართლებრივ ბუნებაში. შინაარსში დაშვებული შეცდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა შეცდომა სამართლებრივ შედეგში.

შესაბამისად, მარტივი მისახვედრია, რომ გერმანული სამოქალაქო სამართალი „შინაარსში შეცდომას“ საკმაოდ ფართო მნიშვნელობას ანიჭებს. გსკ-ი არსებითი შეცდომის ამ სახეს მხოლოდ ერთი მუხლით არეგულირებს, სსკ-გან განსხვავებით, რომელშიც შეცდომის სახეები რამოდენიმე მუხლით რეგულირდება.¹¹⁸

¹¹⁶ *ჯორბენაძე ს.*, გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹¹⁷ *იქვე*, 92-94.

¹¹⁸ *კიკოშვილი ს.*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 13; იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.01.2019].

§3.3. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა

სსკ-ის 73 მუხლის „გ“ პუნქტი არსებითი შეცდომის კიდევ ერთ სახეს აწესრიგებს. აღნიშნული პუნქტი გარიგების საფუძველში დაშვებულ შეცდომას ეხება.¹¹⁹

*„გარიგების საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას. ამ შემთხვევაში შეცდომის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გარიგების მხარეები კეთილსინდისიერად ენდობოდნენ ამ გარემოების არსებობას“.*¹²⁰

ხშირია საპირისპირო შემთხვევები, როცა მართალია მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ენდობოდნენ გარკვეული გარემოებების არსებობას, რომლებიც მათთვის გარიგების საფუძველად განიხილებოდა, თუმცა სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ისინი შეცდნენ. შესაბამისად, მხარეები გარიგებას არ დადებდნენ, მათთვის დადების მომენტშივე რომ ყოფილიყო ცნობილი მიუღებელი გარემოებების შესახებ.¹²¹

იმისათვის, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედების სფეროში მოხდეს და არსებით შეცდომად იქნეს განხილული, აუცილებელია სუბიექტური და ობიექტური არსებობის წინაპირობების არსებობა. თუ ის გარემოება, რომლის შესახებაც მხარეს არასწორი წარმოდგენა აქვს, მიზეზობრივ კავშირშია მხარის მიერ გამოვლენილ ნებასთან, მაშინ სუბიექტური არსებობის წინაპირობა სახეზეა. რაც შეეხება ობიექტურ არსებობას, ამ შემთხვევაში გარემოების ან წარმოდგენის, როგორც გარიგების საფუძველის შეფასება ხდება ბაზრის ბრუნვის გათვალისწინებით.¹²²

¹¹⁹ ბურდული ი., გაჩერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 427.

¹²⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 369.

¹²¹ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 302-303.

¹²² ბურდული ი., გაჩერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 427-428.

„საფუძველში შეცდომა გულისხმობს, ერთის მხრივ, მოტივში შეცდომას და მეორეს მხრივ, ნების გამოვლენაში შეცდომას“.¹²³

მხარეთა მცდარი წარმოდგენები შესაძლოა უკავშირდებოდეს გარიგების საფუძველად მიჩნეულ იმ გარემოებებს, რომლებიც სავარაუდოდ არსებობს გარიგების დადების მომენტში ან რომლებიც შესაძლოა მომავალში დადგეს.¹²⁴

გარიგების საფუძველი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ხელშეკრულების შინაარსთან. იგი ხელშეკრულების გარეთ არსებობს, თუმცა, ამავდროულად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარემოება/წარმოდგენაცაა. თუ გარიგების საფუძველი ხელშეკრულების შინაარსის ნაწილია, რომლის შესახებაც მხარეებს არასწორი წარმოდგენა ექმნებათ, ასეთი შემთხვევა განიხილება, როგორც შინაარსში დაშვებული შეცდომა. გარიგების საფუძველად არ მიიჩნევა ასევე ის ცალმხრივი მოტივი ან მხარის მოლოდინები, რომლებიც ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული.¹²⁵

სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტი შვეიცარიული სამართლის, სსკ-ის 398-ე მუხლი კი გერმანიის სასამართლო პრაქტიკის გავლენით ჩამოყალიბდა სსკ-ში. ორი ქვეყნის სამართლიდან ნორმების გადმოტანამ წარმოშვა გარკვეული პრობლემები.¹²⁶

აქედან გამომდინარე, სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტი შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს სსკ-ის 398-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებთან, რადგან ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება მოიცავს სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტის სფეროს, რის გამოც ამ მუხლის გამოყენების საჭიროება აღარ წარმოიშობა. თუ მხარის მიერ ხელშეკრულების საფუძველად მიჩნეული წარმოდგენები არასწორი აღმოჩნდა, მაშინ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება სსკ-ის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის

¹²³ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 226.

¹²⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 369.

¹²⁵ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 427.

¹²⁶ იქვე, 428.

საფუძველზე, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.¹²⁷

თუ კონტრაქტი გარიგების შესრულებაზე თანხმობას აცხადებს იმ მხარის სურვილის შესაბამისად, რომელსაც სურს გარიგების საცილოდ გახდომა, მაშინ სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე შეცილება გამოირიცხება.

განსხვავებულია ამ ორი მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები. შეცილება შესაძლოა გაცხადებულ იქნეს ერთი თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მხარე შეიტყობს შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, ხოლო ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიმართ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ვრცელდება (სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სსკ-ის 398-ე მუხლისგან განსხვავებით, სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტით ზიანი არ ანაზღაურდება. ეს იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში შეცდომა ორივე მხარის მიერ ერთობლივადაა დაშვებული.

თუ სსკ-ის 73-ე და 398-ე მუხლებს შორის წარმოიშობა კონკურენცია, სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა ცნოს ხელშეკრულება ბათილად, როცა ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, რადგან *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს) უფრო მეტად განამტკიცებს სსკ-ის 398-ე მუხლი, რომლის მიზანი ხელშეკრულების გადარჩენაა. სსკ-ის 73-ე მუხლი კი პირიქით, ხელშეკრულებას სპობს. აქედან გამომდინარე, თუ მხარე ითხოვს ხელშეკრულების გაბათილებას, მაშინ, როცა შესაძლებელია შეცდომის ხელშეკრულებასთან მისადაგებით გამოსწორება, გამოირიცხება ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან ასეთი შეცდომა არსებითად ვერ შეფასდება.¹²⁸

გსკ-ის პროექტის მიხედვით, საფუძველში შეცდომა შესაძლოა მიჩნეულიყო როგორც მოტივში შეცდომა. გაკრიტიკებულ იქნა სავინის იდეა, რომლის მიხედვითაც საფუძველში დაშვებული შეცდომა განხილული უნდა ყოფილიყო,

¹²⁷ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 428.

¹²⁸ იქვე, 430-431.

როგორც ძირითადი განსხვავება განცხადებასა და განზრახვას შორის - პრაქტიკაში დანერგილი რეგულაციების სირთულის გათვალისწინებით. თუ საფუძველში შეცდომა მიიჩნევა, როგორც მოტივში დაშვებული შეცდომა, მაშინ შემცდარ მხარეს შეეძლება მიიჩნიოს გარიგება ბათილად.¹²⁹

გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით შეცდომების ნორმები არ არის თანხვედრაში ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების შესახებ არსებულ ნორმასთან (§313-თან).¹³⁰

გსკ-ის 313-ე პარაგრაფით გამიჯნულია გარიგების ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები. გსკ-ის 313-ე I პარაგრაფი ეხება მხარეთა შეთანხმების შემდეგ წარმოშობილ, ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ გარემოებების არსებით ცვლილებას, ე.ი ობიექტურ საფუძვლებში არსებით ცვლილებას, ხოლო გსკ-ის 313 II პარაგრაფი მოიაზრებს სუბიექტური გარემოებების თავდაპირველ არარსებობას, ე.ი მოტივაციაში დაშვებულ ზოგად შეცდომას, როდესაც მხარე შეცდომით მიიჩნევს ამა თუ იმ გარემოების არსებობას. მაგალითად, მხარეები თვლიდნენ, რომ ნახატი სხვა მხატვარის მიერ იყო შესრულებული, თუმცა ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ნახატი სინამდვილეში ლეიბლს ეკუთვნის. აღნიშნული გარემოება კი იწვევს ხელშეკრულების საგნის ღირებულების გაზრდას.

ვინაიდან, გსკ-ის 119-ე პარაგრაფი გულისხმობს მხარის მიერ ცალმხრივად შეცდომის დაშვებას ნების გამოვლენის შინაარსთან მიმართებაში, გსკ-ის 313-ე II პარაგრაფი ეხება მხარეთა მიერ ორმხრივად დაშვებულ შეცდომას და აუცილებელი ხდება შეთანხმების საფუძვლად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრა.¹³¹

¹²⁹ *McKeag, Edwin C*, Mistake in Contract: A Study in Comparative Jurisprudence, New York: Columbia University Press, 1905, 64. იბ.

<<http://web.a.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=75064dcb-edf0-474b-a70a-1f11b26e0573%40sessionmgr4007>>, [20.06.2019].

¹³⁰ *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 428-429.

¹³¹ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, (დისერტაცია), თსუ, 2014, 66-67; იბ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [20.06.2019].

თუმცა, გსკ-ის 313-ე I და II პარაგრაფების გამიჯვნის საფუძველად სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ერთმანეთისაგან განსხვავების ნაცვლად, სახელშეკრულებო დაბრკოლების წარმოშობის დრო უნდა იქნეს გამოყენებული. ამის მიზეზი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ის არის, რომ გსკ-ის 313 II პარაგრაფი ითვალისწინებს სუბიექტური გარემოებების სპეციალურ შემთხვევას, გსკ-ის 313-ე I პარაგრაფი (რომელიც ერთდროულად მოიცავს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებებს) აწესრიგებს პრობლემას, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების დადების შემდგომ წარმოშობილ შეცვლილ გარემოებებს. რაც შეეხება სამართლებრივ შედეგს, ამ მხრივ განსხვავებას ადგილი არ აქვს.¹³²

ნორმათა ასეთი განმარტება ვერ იქნება გამოყენებული სსკ-ის ნორმების განმარტებისას, რადგან 73-ე მუხლის „გ“ პუნქტი ფართოდ უნდა განიმარტოს, რომელიც მოიაზრებს ორივე მხარის მიერ ერთობლივად დაშვებულ შეცდომას, განსხვავებით გსკ-ის შეცილების შესახებ არსებული §119 II პარაგრაფისაგან.¹³³

§3.4. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში/შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში

სსკ-ის 74-ე მუხლი არსებითი შეცდომის ორ სახეს არეგულირებს. კერძოდ, შეცდომას კონტრაქტის პიროვნებასა და მის პირად თვისებებში და შეცდომას საგნის ძირითად თვისებებში.¹³⁴

გამომდინარე იქიდან, რომ შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში და შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში არსებითი შეცდომის ორი სხვადასხვა სახეა, გაურკვევლობას იწვევს სსკ-ის 74-ე მუხლის სახელწოდება - „შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში“. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ეხება

¹³² ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, (დისერტაცია), თსუ, 2014, 67;

იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>, [20.06.2019].

¹³³ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 428-429.

¹³⁴ იქვე, 432.

კონტრაქტის პიროვნებაში და მის პირად თვისებებში დაშვებულ შეცდომას, ხოლო მეორე ნაწილში საუბარია საგნის ძირითად თვისებაში დაშვებულ შეცდომაზე.

თუ მხარეს არასწორი წარმოდგენა აქვს გარიგების შინაარსის შესახებ, შესაბამისად ეს იმას ნიშნავს, რომ მას არასწორი წარმოდგენა აქვს გარიგების შედეგის შესახებაც. ამიტომ, შეცდომა კონტრაქტის პიროვნებასა და შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში შესაძლოა განხილულ იქნეს შინაარსში დაშვებულ შეცდომასთან მიმართებით.¹³⁵ თუმცა, მიუხედავად ამისა, სსკ-ი არსებითი შეცდომის ორივე სახეს ცალკე აწესრიგებს და არ აერთიანებს მათ შინაარსში დაშვებულ შეცდომაში.

მსგავსი მიდგომაა გაზიარებული გერმანულ სამართალშიც. კერძოდ, გსკ-ის საბოლოო რედაქცია ითვალისწინებს საგნის თეორიას. შესაბამისად, შეცდომა, რომელიც დაკავშირებულია პიროვნებასთან ან საგანთან, მიიჩნევა არსებითად და უტოლდება შინაარსში დაშვებულ შეცდომას.¹³⁶

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სსკ-ის 74-ე მუხლით მოწესრიგებული არსებითი შეცდომის ორივე სახე მოტივში დაშვებული შეცდომის ნაირსახეობაა, განსხვავებით სსკ-ის 76-ე მუხლისაგან, რომლის ფარგლებშიც მოტივში დაშვებული შეცდომა არაარსებით შეცდომად განიხილება. სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებისგან განსხვავებით, კონტრაქტის პიროვნებასა და საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომისას მხარე არ ცდება არც ნების გამოვლენის ნიშნებში და არც მის შინაარსში, არამედ შეცდომას უშვებს ისეთ მოტივებში, რომლებიც მნიშვნელოვანია ნების ჩამოყალიბებისათვის.¹³⁷

¹³⁵ *ჯორბენაძე ს.*, გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹³⁶ *McKeag, Edwin C.*, Mistake in Contract: A Study in Comparative Jurisprudence, New York: Columbia University Press, 1905, 64-65. იხ. <<http://web.a.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=75064dcb-edf0-474b-a70a-1f11b26e0573%40sessionmgr4007>>, [20.06.2019].

¹³⁷ *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 432-433.

„შეცდომა კონტრაქტის პიროვნებათა იგივეობაში მაშინაა, როდესაც ერთი მხარის ნების ადრესატი შეცდომით აღმოჩნდება არა ის პირი, რომელთანაც მას აქვს განზრახული დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ სხვა. ამ შემთხვევაში თვით ადრესატის პიროვნებაში შეცდომა საკმარისია გარიგების ბათილად ცნობისათვის“.¹³⁸

ამ შემთხვევაში, გარიგება შესაძლოა ბათილად იქნეს ცნობილი, მას შემდეგ რაც სუბიექტური (მხარეთა შინაგანი ნება) და ობიექტური (მხარეთა შინაგანი ნების გარეგნული გამოხატვა) ფაქტორების გათვალისწინებით განხორციელდება გარიგების ბათილობის გონივრული განმარტება. დაუშვებელია გონივრული განმარტების გარეშე გარიგების ბათილად ცნობა.¹³⁹

სსკ-ის 74 მუხლის პირველი ნაწილი ორ შემთხვევას აერთიანებს: 1. შეცდომის გამო, ერთი მხარის ნების ადრესატია არა ის პირი, ვისთანაც მხარეს სურს სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, არამედ სრულიად სხვა პირი; 2. ნების გამომვლენის მიერ შეცდომა დაშვებულია პირის პირად თვისებებში და არა მის ვინაობაში.¹⁴⁰

რაც შეეხება გარიგების ბათილობას, პიროვნების ნებისმიერ თვისებაში დაშვებული შეცდომა ასეთ შედეგს ვერ გამოიწვევს. გარიგება შესაძლოა გაბათილდეს, როცა პიროვნება ან მისი თვისებები გარიგების დადების საფუძველს წარმოადგენდა.¹⁴¹

პიროვნების თვისებებში დაშვებული ყველა შეცდომა არსებითი შეცდომის მნიშვნელობას ვერ შეიძენს. არსებით შეცდომად განიხილება თვისებაში დაშვებული მხოლოდ ისეთი შეცდომა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაშია მიჩნეული ასეთად.¹⁴²

¹³⁸ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 227.

¹³⁹ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 305-306.

¹⁴⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 434.

¹⁴¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 370.

¹⁴² ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 434-435.

კონტრაქტის პიროვნებაში შეცდომა აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს. სსკ-ი მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს „კონტრაქტის თვისების“ განმარტებისას, რადგან კონტრაქტის პიროვნებაში დაშვებული შეცდომა ფართო სპექტრს მოიცავს.¹⁴³

„კონტრაქტის (არსებითი) თვისებრიობა მოიცავს, პირველ რიგში, მის პირად (პიროვნულ) ნიშან-თვისებებს და ასევე იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ კომპონენტებს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით გავლენას ახდენს მისი პიროვნების შეფასებისას. კონტრაქტს არსებითი თვისება უნდა ახასიათებდეს ხანგრძლივი დროის მანძილზე. კონტრაქტის არსებითი თვისებრიობა, გარიგების შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, შესაძლოა იყოს ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სქესი, პროფესიონალიზმი, რეპუტაცია (მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთ შრომით ურთიერთობებში, სადაც პირს ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია, ან მოითხოვება მაღალი ხარისხის სანდოობა, კეთილსინდისიერება და ა.შ.). თუმცა, კონტრაქტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებები არარელევანტურია ისეთ გარიგებებში, სადაც ეს უმნიშვნელოა. არსებით თვისებრიობად შესაძლოა ჩაითვალოს ასევე კონტრაქტის ლიკვიდურობა, კრედიტუნარიანობა“.¹⁴⁴

შესაძლოა ნების გამომვლენი თავის პირად უნარებსა და შესაძლებლობებზე იქმნიდეს არასწორ წარმოდგენას, რომ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ამ შემთხვევაში, ნების გამომვლენის პირადი თვისებები სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში შეცილების საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული.¹⁴⁵

მართებულად მიმაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, იმის შესახებ რომ სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი ბუნდოვანია, რადგან არ იკვეთება კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისებების არსებითობა

¹⁴³ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹⁴⁴ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 433.

¹⁴⁵ იქვე, 434.

ვის მიერ შეფასებას ექვემდებარება-ობიექტური მესამე პირის, თუ თავად ნების გამომვლენის. ჩემი აზრით, კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისებების შემფასებლად ობიექტური მესამე პირი უნდა იქნეს მიჩნეული და არა თავად ნების გამომვლენი.

ეს იმით აიხსნება, რომ „ამ შემთხვევაში ნების გამომვლენი პირის სუბიექტური წარმოდგენა უკანა პლანზე ინაცვლებს, რათა თვისებებში დაშვებული შეცდომა არ გაუთანაბრდეს მოტივში დაშვებულ შეცდომას, რომელიც არაარსებითია.“¹⁴⁶

გამიჯვნის სირთულის მიუხედავად, აუცილებელია კონტრაქტის პიროვნებაში დაშვებული შეცდომა განვასხვავოთ შემოქმედებითი ან სპორტული წარუმატებლობისაგან, რადგან ასეთი შეცდომები ხშირად ძალიან დიდ მატერიალურ ზიანს იწვევს. ერთიანი კრიტერიუმი არ არსებობს, რომელიც მოაგვარებდა ამ პრობლემას, ამიტომ გამიჯვნის პრობლემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

„საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილეთა პირადი თვისებები დიდ როლს თამაშობენ. სანდოობა, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება, საიდუმლოს შენახვის უნარი - ეს ის თვისებებია, რომლებიც საფუძველს ქმნიან კომერციული, განსაკუთრებით კი, საკრედიტო ურთიერთობების სტაბილურობისთვის.“¹⁴⁷

რაც შეეხება იურიდიულ პირს, მისი სანდოობის შეფასება მისივე თანამშრომლების სანდოობაზეა დამოკიდებული.¹⁴⁸

კონტრაქტის პიროვნებაში შეცდომა ასევე შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოტყუებამ. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება გარიგების გაბათილება შეცდომის საფუძველზე, რადგან გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის ტყუილი.¹⁴⁹

¹⁴⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 434.

¹⁴⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 370-371.

¹⁴⁸ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 436.

¹⁴⁹ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 229.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მეორე აზიანი აწესრიგებს თვისებაში დაშვებულ შეცდომას. გაბატონებული შეხედულების თანახმად, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს გამონაკლისს იმ წესიდან, რომ მოტივში შეცდომა არაარსებითია. ამავდროულად, გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ნორმა პირის ისეთ თვისებებს მოიცავს, რომლებიც არსებით მნიშვნელობას იძენს „სამოქალაქო ბრუნვაში“. შესაბამისად, საერთო საზომის არარსებობის გამო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეებს უნდა შეეფასებინათ პირის თვისებათა არსებითობა ბრუნვაში.¹⁵⁰

საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი ვრცელდება მხოლოდ კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისებების მიმართ და ნორმა არ უთითებს მესამე პირებზე, გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი კი მოიხსენიებს „პირის თვისებებს“, რომელიც კონტრაქტის გარდა მოიაზრებს მესამე პირებსაც.

ქართული და გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობის მიდგომა განსხვავებულია იმ კრიტერიუმთან დაკავშირებითაც, რომლებიც პირის თვისებების შეფასებას უზრუნველყოფს. გსკ-ის 119-ე II პარაგრაფის პირველი ალტერნატივის მიხედვით სამართლებრივ შედეგს პირის ისეთი თვისებები წარმოშობს, რომლებიც ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, არსებითია სამოქალაქო ბრუნვაში. სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით პირის ამ თვისებათა შეფასება შესაძლოა სუბიექტურ კრიტერიუმსაც დაექვემდებაროს. ამ შემთხვევაში განმარტების კუთხით უპირატესობა გსკ-ს უნდა მიენიჭოს. სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამოირიცხება ისეთი საფუძვლები, რომლებიც ამ მუხლით გათვალისწინებულ შეცდომას მოტივში დაშვებულ შეცდომასთან ათანაბრებს.¹⁵¹

შესაბამისად, §119 (2) იძლევა ნების ფორმირებისას შეცდომათა გამო უკან დახვევის შესაძლებლობას, სადაც შეცდომა ეხება „პირის ან საგნის თვისებებს, რაც

¹⁵⁰ ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში - მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2013, 32.

¹⁵¹ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 330.

ჩვეულებრივ მიჩნეულია არსებითად ბიზნეს ურთიერთობებში“. ფედერალური სასამართლო ამ ტერმინებს განმარტავს ძალიან ფართოდ, უფრო მეტიც, „ყველა ფაქტის თუ სამართლის ურთიერთობა, მათი ბუნება და ხანგრძლივობა, მოქმედებს საგნის ღირებულებასა და მის გამოყენებადობაზე“.¹⁵²

*„სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირის ბუნებრივ დამახასიათებელ თვისებებთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი თვისებისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შედეგად, სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულების თანახმად, გავლენას ახდენს პირის შეფასებაზე ყველა ან განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებში“.*¹⁵³

სსკ-ის 74-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება „საგნის ძირითად თვისებებში შეცდომას“. „საგნის თვისებაში შეცდომა“ მოიაზრებს გარიგების საგანში დაშვებულ შეცდომას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა ფართოდ უნდა განიმარტოს, რათა დადგინდეს საგნის ფასეულობა ანუ მისი ღირებულება იქნეს განსაზღვრული¹⁵⁴ და შესაძლებელი გახდეს ამ კონკრეტული სახის არსებითი შეცდომის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა.¹⁵⁵

სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარიგების საგანში იგულისხმება მოძრავი და უძრავი ნივთები, აგრეთვე ნებისმიერი საგანი, მაგალითად, უფლებები, მოთხოვნები და ა.შ.

რაც შეეხება საგნის თვისებრიობას, იგი „მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ თვისებრიობას, არამედ ყველა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას (ნივთობრივი და უფლებრივი სიკეთეები), რომელიც დაკავშირებულია საგანთან ხანგრძლივი ვადით და ზეგავლენას ახდენს მის გამოყენებით (მოხმარების)

¹⁵² Catherine Valcke, Convergence and Divergence Between the English, French, and German Conceptions of Contract, Legal Studies Research Series, №08-14, 2008,43. იხ.

<https://www.sssup.it/UploadDocs/3332_SSRN_ID1266172_code333799.pdf> [20.06.2019].

¹⁵³ კროფკოლერი ი., გემრანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 43.

¹⁵⁴ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹⁵⁵ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 331.

ფუნქციასა და ღირებულებაზე. ეს თვისებები საგანს უნდა ახასიათებდეს აწმყოში, ანუ გარიგების დადებისა და შესაბამისი სამართლებრივ ურთიერთობის განხორციელებისას.¹⁵⁶ საგნის თვისებრიობა ანალოგიურ შინაარსს ატარებს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში.¹⁵⁷

საგნის ძირითად თვისებათა ობიექტურ-სუბიექტური კრიტერიუმების მიხედვით შეფასებასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საგნის ძირითადი თვისებები ორივე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით შეფასებას ექვემდებარება. თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ყოველთვის არაა აუცილებელი საგნის თვისებების შეფასება სამოქალაქო ბრუნვაში. ავტორთა მეორე ნაწილი კი საგნის თვისებრიობის შეფასებისას ობიექტურ კრიტერიუმს ანიჭებს უპირატესობას, ე.ი საგნის თვისებებში დაშვებული შეცდომა მხოლოდ მაშინ წარმოშობს შეცდომების საფუძველს, როცა სამოქალაქო ბრუნვაში იქნება მიჩნეული არსებითად.¹⁵⁸

სსკ-ის 74 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო ბრუნვაში საგნის თვისებრიობა მაშინ მიიჩნევა არსებითად, როცა მას მნიშვნელობა ენიჭება საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის და ზემოქმედებს საგნის გამოყენებადობაზეც. საგნის თვისებრიობის შეფასებისას, მისი არსებითობა დგინდება იმ მომენტის მიხედვით, როცა პირი ავლენს ნებას.¹⁵⁹

სსკ-ის 488-ე და შემდგომი მუხლების თანახმად, ნაკლის გამო პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობა გამორიცხავს შეცდომების უფლებას სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომისთვის. ასეთ შემთხვევაში შეცდომების უფლების

¹⁵⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 437-438.

¹⁵⁷ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 308.

¹⁵⁸ ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმის მიხედვით საგნის ძირითად თვისებათა შეფასებაზე აქცენტს აკეთებს ბ. ზოიძე წიგნში: „სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები“, 2002, 230-231 გვერდზე. რაც შეეხება საგნის თვისებათა შეფასებას ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, ეს იდეა განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში, წიგნი I, 2017,

¹⁵⁹ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 438.

გამორიცხვა გამართლებულია, რადგან შეცილების უფლების განხორციელების საერთო ვადით (ათი წელი), არ გადაიფაროს ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნათა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ასევე, თუ ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები ხანდაზმულია ან თუ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გამოირიცხა ნაკლიდან წარმოშობილი მოთხოვნები, ორივე შემთხვევაში შეცილების უფლების გამოყენება დაუშვებელია.¹⁶⁰

გსკ-ის 119-ე II პარაგრაფის მეორე ალტერნატივის მიხედვით საგნის ძირითად თვისებაში დაშვებული შეცდომა შინაარსში შეცდომად მიიჩნევა. საგნის თვისებაში დაშვებულ შეცდომაში მოიაზრება ისეთი შეცდომა, რომელიც არსებითია „ბრუნვაში“.¹⁶¹

გერმანულ სამართალში საგნის თვისებაში დაშვებული შეცდომის შეფასებისას ყურადღება მახვილდება საგნის ხარისხზე, მის სხვა ბუნებრივ თუ სამართლებრივ მახასიათებელზე, რომლებიც ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორებია. საგნის თვისებრიობის შესაფასებლად ფასი ვერ გამოდგება, რადგან იგი საგნის მახასიათებელია.¹⁶²

*„თუმცა, ეს კავშირები თავად უნდა ჰპოვებდეს თავიანთ საფუძველს საგნის ნიშან-თვისებაში, მისთვის უშუალოდ დამახასიათებელი უნდა იყოს, მისგან გამომდინარეობდეს“.*¹⁶³

შესაბამისად, ნივთის თვისებაში დაშვებულ შეცდომას ვერ გაუტოლდება ნივთის ფასეულობაში დაშვებული შეცდომა ან ნივთის ეკონომიკურ თვისებებში დაშვებული შეცდომა. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც

¹⁶⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 439-441.

¹⁶¹ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 331.

¹⁶² კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 15;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

¹⁶³ კროგჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 43.

ნივთის შემოსავლიანობა, მომგებიანობა, ბრუნვაუნარიანობა არ შეესაბამება მის სურვილს.¹⁶⁴

თუ გარიგება სრულად არ ასახავს მხარის მიერ კონკრეტული საგნის ან საგნის კონკრეტული თვისების შესახებ გამოხატულ ნებას, მაშინ არსებობს საფუძველი გარიგების გაუქმებისათვის. თუმცა, თუ შეცდომა საგნის უბრალო თვისებებთანაა დაკავშირებული, მაშინ გარიგების გაუქმების შესაძლებლობა გამოირიცხება.¹⁶⁵

სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილში, გსკ-ის 119 II ალტერნატივისგან განსხვავებით, მოხსენიებულია „საგანი“ ან მისი თვისებები და არა „ნივთი“. საგანში მოიაზრება მოძრავი, უძრავი ნივთები, ქონებრივი უფლებები და მათი ერთობლიობა.¹⁶⁶

§3.5. შეცდომა უფლებაში

სსკ-ის 75-ე მუხლით „შეცდომა უფლებაში“ ცალკე მუხლით რეგულირდება.¹⁶⁷ *„უფლებაში დაშვებული შეცდომა არსებითი მნიშვნელობის იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი გარიგების დადების ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო“*.¹⁶⁸

„ერთადერთი და მთავარი საფუძველი“ გულისხმობს იმას, რომ *„უფლებაში შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსშია შეტანილი და მასთან პირდაპირაა დაკავშირებული“*.¹⁶⁹ როგორც ჩანს, სსკ-ის 75-ე მუხლის საფუძველზე შეცილების

¹⁶⁴ ს. ჯორბენაძე, *გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით*, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹⁶⁵ McKeag, Edwin C, *Mistake in Contract: A Study in Comparative Jurisprudence*, New York: Columbia University Press, 1905,66.

იხ. <http://web.a.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=75064dcb-edf0-474b-a70a-1f11b26e0573%640sessionmgr4007>, [20.06.2019].

¹⁶⁶ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 332.

¹⁶⁷ იქვე.

¹⁶⁸ *ჯორბენაძე ს.*, *გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით*, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹⁶⁹ *ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 443.

უფლების განხორციელებისათვის კანონმდებელი საკმაოდ მკაცრ მასშტაბს ადგენს.

იურიდიულ ლიტერატურაში უფლებაში შეცდომის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ერთი ნაწილის მიხედვით, უფლებაში შეცდომა სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომაა, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, უფლებაში შეცდომის მომწესრიგებელი მუხლი, იმის გამო რომ მას დამატებითი შინაარსი არ აქვს, შესაძლოა სსკ-ის 74-ე მუხლის მოწესრიგების ფარგლებში ექცეოდეს ან განხილულ იქნეს, როგორც მოტივში დაშვებული არაარსებითი შეცდომის სახე, რომელიც გამორიცხავს შეცილების უფლებას.¹⁷⁰

*„უფლებაში შეცდომა მაშინაა, როცა პირს ექმნება არასწორი წარმოდგენა მის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებზე“.*¹⁷¹ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გარიგების დადების მომენტში, პირი თვლის, რომ გარიგება ისეთი სამართლებრივი შედეგის დადგომას გამოიწვევს, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის მიერ გარეგნულად გამოხატულ ნებასთან, თუმცა სინამდვილეში, პირის არასწორი წარმოდგენების გამო ასეთი შედეგი არ დგება.¹⁷²

მაგალითად,

სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, გამყიდველი უთითებს, რომ „სახლს ყიდის მთელი თავისი უძრავ-მოდრავი ქონებით“ და თვლის, რომ ნასყიდობის საგანია მხოლოდ სახლი, მიწის ნაკვეთის გამოკლებით (რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც სახლის მიწის ნაკვეთი). ასეთი შეცდომა წარმოშობს გარიგების ბათილობის საფუძველს, რადგან გამყიდველისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო „უძრავ-მოდრავი ქონება“, მიწის ნაკვეთსაც მოიაზრებდა, იგი აღნიშნულ გარიგებას არ დადებდა.¹⁷³

ზოგადად, როდესაც გარიგება პირის სურვილთან შეუსაბამო სამართლებრივ შედეგს წარმოშობს, იგულისხმება რომ შეცდომა დაშვებულია სამართლებრივ

¹⁷⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 442.

¹⁷¹ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 231.

¹⁷² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 372.

¹⁷³ ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002, 231.

შედეგში. ამიტომ, სსკ-ის 75-ე მუხლის მიზანია სამართლებრივ შედეგში დაშვებული შეცდომების დიფერენცია, ასევე იმ შეცდომების მოწესრიგება, რომელიც არსებითად მიიჩნევა და შეცილების საფუძველად განიხილება.¹⁷⁴

სრულებით შესაძლებელია, რომ „სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომა“ არაარსებით ხასიათს ატარებდეს, რომლის მაგალითიც მოტივში დაშვებული შეცდომაა, ვინაიდან მას სამართლებრივი შედეგი არ აქვს. ხოლო წვრილმანი შეცდომა სამართლებრივ შედეგებში დაშვებულ არაარსებითი ხასიათის შეცდომად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ასეთ დროს შესაძლებელი ხდება გარიგებაში შესწორებების შეტანა. როდესაც პირის მიერ ნების გამოვლენამდე სამართლებრივ შედეგებში შეცდომა დაშვებული, ასეთ შემთხვევას მოტივში დაშვებული შეცდომის განმარტებამდე მივყავართ, რომელიც გარიგების შეცილების საფუძველს არ წარმოადგენს მაშინაც კი, თუ გარიგების დადების მიზანი გაცხადებულია.¹⁷⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ როცა ნების გამომვლენი ცდება ნების შინაარსში, მისთვის უცნობია გარიგების თანმდევი სამართლებრივი შედეგი. ასეთ დროს იკვეთება შინაარსში დაშვებული შეცდომისა და სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომის მსგავსება.¹⁷⁶

*„უფლებაში შეცდომა ხშირად კანონის უცოდინრობითაა გამოწვეული. პირს არასწორი წარმოდგენები აქვს მის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებზე. მან არ იცის, რომ მის მიერ გამოხატული ნება მის სურვილს ეწინააღმდეგება, ამ ნებაში ჩადებულ აზრს, შინაარსი არ ემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სახის გარიგებას არ დადებდა“.*¹⁷⁷

¹⁷⁴ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 442.

¹⁷⁵ ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, 77-107; იხ. <<http://www.library.court.ge/docs/115/>> [20.06.2019].

¹⁷⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 442.

¹⁷⁷ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 308.

გარიგების ბათილად ცნობამდე აუცილებელია ნების გონივრული განმარტების შედეგად დადგინდეს თუ რა სურდა სინამდვილეში ნების გამომვლენს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგების ბათილობა გამოირიცხება.¹⁷⁸

თუ გარიგების თანმდევ სამართლებრივ შედეგს კანონი განსაზღვრავს და მხარე გარიგებაში ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო დებულებას, გარიგებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი უფლებაში შეცდომად ვერ იქნება განხილული.

მაგალითად,

პირი ავტომანქანის გაყიდვისას ხელშეკრულებით გამორიცხავს თავის პასუხისმგებლობას ავტომანქანის იმ ნაკლზე, რომლის შესახებაც მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში. ასეთი შეცდომა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს გარიგების შეცილების საფუძველად.¹⁷⁹

გერმანულ სამართალში, სსკ-ს მსგავსად, შეცდომა უფლებაში (სამართლებრივ შედეგში) გულისხმობს ნების გამომვლენის არასწორ წარმოდგენას მის მიერ გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგზე. თუ პირი შეცდომას უშვებს ნების გამოვლენისთვის არაარსებითი მნიშვნელობის მქონე ნორმის შინაარსში, რომელთანაც მისი ნების გამოვლენა დაკავშირებული, ასეთი შეცდომა მოტივში დაშვებულ არაარსებით შეცდომად მიიჩნევა.¹⁸⁰

გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც პირი ცდება მისი ნების გამოვლენის შინაარსში არსებული სამართლებრივი შედეგების შესახებ, მაშინ სამართლებრივ შედეგებში შეცდომის დაშვება შინაარსში შეცდომად განიხილება. თუმცა, როცა პირის ნების გამოვლენა სამართლებრივ შედეგებში შეცდომას არ მოიცავდა, ასეთი შეცდომა უკავშირდება მოტივში შეცდომას. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შინაარსში

¹⁷⁸ ხარაზი ი., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012, 309.

¹⁷⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011, 372-373.

¹⁸⁰ კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 16;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

შეცდომას ადგილი აქვს იმ მომენტიდან, როცა გარიგება წარმოშობს პირის სურვილისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.¹⁸¹

ქართული სამართლის მსგავსად, გერმანულ სამართალშიც უფლებაში შეცდომა არაარსებით ხასიათს მხოლოდ მოტივის დონეზე იძენს. უფლებაში შეცდომა, როგორც არსებითი შეცდომის ერთ-ერთი სახე, სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ გარიგების საგანში. რადგან გარიგების საგანი გარიგების შინაარსში შედის, აქედან გამომდინარეობს, რომ *„შეცდომა უფლებაში, ისევე როგორც შეცდომა საგანსა და კონტრაქტის პიროვნებაში, შედის მოტივში შეცდომის რეგულირების სფეროში, ეს უკანასკნელი კი თავისი შინაარსით უკავშირდება შეცდომას გარიგების შინაარსში“*.¹⁸²

¹⁸¹ კროფკოლერი ი., გემრანის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 43.

¹⁸² ს. კიკოშვილი, *ნების ნაკლი ქართულ სამართალში*, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 16;

იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf> [20.06.2019].

თავი IV. შეცდომით დადებული გარიგებები საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპების მიხედვით

საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები მომზადდა დამოუკიდებელი, სამთავრობათშორისო ორგანიზაციის - კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (Institut International pour l'Unification du Droit) ეგიდით, რომელიც დაფუძნებულია რომში. ამიტომ ეწოდა მას უნიდროას პრინციპები. აღნიშნულ პრინციპებს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპებს, იურისტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას, არბიტრები კი დავების გადაწყვეტისათვის. ეროვნულ კანონმდებლობაში პრინციპები გამოიყენება როგორც საფუძველი სამართლის რეფორმისათვის.¹⁸³

აღსანიშნავია, რომ UNIDROIT-ის პრინციპები სარეკომენდაციო ხასიათისაა და სახელმწიფოთა მიერ მისი გამოყენება სავალდებულო არ არის.

უნიდროას პრინციპები, 2016 წლის გამოცემის მიხედვით, პრეამბულისა და 11 თავისაგან შედგება. პრინციპების მესამე თავი ხელშეკრულების ნამდვილობას ეხება, რომელშიც განხილულია ე.წ. თანხმობის ნაკლოვანებები. ყურადღებაა გამახვილებული შეცდომაზე, თაღლითობასა და მუქარაზე, ასევე მოწესრიგებულია „სერიოზულ უთანასწორობასთან“ დაკავშირებული საკითხები.¹⁸⁴ აღნიშნული პრინციპები გარიგებაში დაშვებული შეცდომის საკმაოდ საინტერესო მოწესრიგებას გვთავაზობს.

უნიდროას პრინციპებში შეცდომით დადებული გარიგებების მოწესრიგება იწყება 3.2.1 მუხლით, რომელიც შეეხება შეცდომის განმარტებას. ამ მუხლის მიხედვით, შეცდომა არის არასწორი წარმოდგენა დაკავშირებული ფაქტებთან ან კანონთან, რომელიც არსებობს ხელშეკრულების დადების მომენტში.

¹⁸³ *Michael Joachim Bonell. Ardsley, An International Restatement of Contract Law : The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (Third Edition)*, ob. <<http://web.b.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=4&sid=341288e6-c913-49b5-90d3-75eb8f192813%40sessionmgr103>>, [20.06.2019].

¹⁸⁴ *კარტკამპი ა.*, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2009-2010, 200. იხ. <http://newvision.ge/sites/default/files/artur_hartkamp.pdf>, [20.06.2019].

ვინაიდან მუხლი მიუთითებს ფაქტებთან და კანონთან დაკავშირებულ შეცდომაზე, როგორც ჩანს, ორი ტიპის შეცდომის იდენტური სამართლებრივი დამუშავება და მათი გათანაბრება, გამართლებულია თანამედროვე სამართლებრივი სისტემების მზარდი სირთულის გათვალისწინებით. საგარეო ვაჭრობისთვის ამ სირთულებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ის ფაქტი, რომ გარიგების მიმართ შესაძლოა გამოსაყენებელი გახდეს უცხო სამართლებრივი სისტემები.

ნორმა ამავდროულად უთითებს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დროის მომენტზეც და ადგენს, რომ შეცდომა უნდა შეიცავდეს იმ არასწორ მოსაზრებას, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადების მომენტში არსებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებთან. დროის მომენტის განსაზღვრის მიზანია ისეთი შემთხვევების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როდესაც ხდება შეცდომების შესახებ არსებული წესების გამოყენება მათთვის დამახასიათებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით, იმ შემთხვევებისაგან, რომლებიც ეხება ხელშეკრულების შეუსრულებლობას.

თუ მხარემ ხელშეკრულება დადო ფაქტობრივ ან სამართლებრივ კონტექსტთან დაკავშირებით არასწორი შეხედულებების გავლენით, ასეთ შემთხვევაზე გავრცელდება შეცდომის შესახებ არსებული წესები. მეორეს მხრივ, თუ მხარეს აქვს სწორი წარმოდგენა კონკრეტული გარემოებების შესახებ, მაგრამ უშვებს მსჯელობაში შეცდომას და მოგვიანებით უარს იტყვის შესრულებაზე, მაშინ საქმე ეხება შეუსრულებლობას, ვიდრე შეცდომას.¹⁸⁵

სსკ-გან განსხვავებით, უნიდროას პრინციპები განმარტავს შეცდომას, რაც უდაოდ მისასაღმებელია, რადგან აღნიშნული გამორიცხავს შეცდომის არსის არაერთგვაროვან გაგებას და ხელს შეუწყობს საქართველოს სსკ-ში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერების აღმოფხვრას. ასევე, საერთო სასამართლოებისათვის შედარებით გამარტივდება გარიგებაში დაშვებული შეცდომისა და მოტყუების ერთმანეთისაგან გამიჯვნასაც, რაც ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული

¹⁸⁵ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 100; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

გარემოებების გათვალისწინებით, არც თუ ისე იოლია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო სამართლის ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთისაგან გამოიჯვინის პრობლემა არაერთხელ დამდგარა სასამართლოთა წინაშე.

რაც შეეხება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დროის მომენტს, როდესაც შეცდომაა დაშვებული, აღნიშნული საკითხი ერთგვაროვნადაა მოწესრიგებული როგორც უნიდროას პრინციპების, ისე სსკ-ით და ასეთად მიჩნეულია ხელშეკრულების დადების მომენტი. თუმცა, განსხვავება ვლინდება იმაში, რომ თუ უნიდროას პრინციპებში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დროის მომენტი შეცდომის ცნების განმსაზღვრელ მუხლშია მოცემული, სსკ-ში ასეთი შინაარსის ნორმა შეცდომით დადებული გარიგებების თავის ნაცვლად ზოგადი ნორმით არის განსაზღვრული, რომელიც საერთოა როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებებისათვის.

სსკ-გან განსხვავებით, უნიდროას პრინციპები არაარსებითი და არსებითი სახეების კლასიფიკაციას არ ახდენს, არამედ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სერიოზული (არსებითი) შეცდომის მოწესრიგებას.

რაც შეეხება სერიოზულ შეცდომას (ე.ი. არსებითი შეცდომა), ამ საკითხს არეგულირებს პრინციპების 3.2.2 მუხლი, რომელიც ჩამოთვლის იმ ოთხ ძირითად პირობას, რომელთა არსებობა შეცდომას არსებითობის ხასიათს სძენს და წარმოქმნის საფუძველს ხელშეკრულების შეცილებისათვის.

არსებითი შეცდომის არსებობა, უნიდროას პრინციპების 3.2.2 მუხლის მოწესრიგების ფარგლებში, წარმოშობს ხელშეკრულების ბათილობის და არა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება. მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები დამატებით განსაზღვრავენ იმ პირობებს, რომელიც უკავშირდება მეორე მხარეს, ვიდრე შეცდომაში მყოფ მხარეს. მეორე პუნქტში მითითებული პირობები კი ეხება შეცდომაში მყოფ მხარეს.¹⁸⁶

არსებითი შეცდომის წონა და მნიშვნელობა უნდა შეფასდეს მთელი რიგი ობიექტურ-სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ, რას

¹⁸⁶ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 101; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019]

მოიმოქმედებდა „ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი გონიერი ადამიანი, როგორც შეცდომაში მყოფი მხარე“, მისთვის რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი ყოფილიყო ნამდვილი გარემოებების შესახებ. თუ „გონიერი ადამიანი“ საერთოდ არ დადებდა ხელშეკრულებას, ან შეასრულებდა ხელშეკრულებას არსებითად განსხვავებული პირობებით, მაშინ შეცდომა მიიჩნევა არსებითად.

ამ კონტექსტში, პირველი პარაგრაფის შესავალი ნაწილი ეყრდნობა ღია ფორმულას და არ მიუთითებს ხელშეკრულების განსაკუთრებით არსებით ელემენტებზე, რომლებსაც უნდა ეხებოდეს შეცდომა. ეს მოქნილი მიდგომა უზრუნველყოფს მხარეთა განზრახვისა და კონკრეტული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებას. მხარეთა განზრახვების დადგენისას გამოყენებული უნდა იქნეს უნიდროას პრინციპების მე-4 თავით გათვალისწინებული ინტერპეტაციის წესები.

ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციული სტანდარტები და შესაბამისი ჩვეულებები. ჩვეულებრივ, კომერციულ გარიგებებში გარკვეული შეცდომები, რომლებიც ეხება საქონლის ან მომსახურების ფასს, ან უბრალოდ შეცდომაში მყოფი მხარის მოლოდინს ან მოტივაციას, არ მიიჩნევა მნიშვნელოვნად. იგივე შეიძლება ითქვას შეცდომებზე, რომელიც ეხება კონტრაქტის პიროვნებას ან მის პიროვნულ თვისებებს, თუმცა, განსაკუთრებულმა გარემოებებმა შესაძლოა ხანდახან შეცდომები გახადოს მნიშვნელოვანი (მაგალითად, როდესაც სესხის გაცემა დამოკიდებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე). ის ფაქტი, რომ გონიერი ადამიანი მიიჩნევს არასწორად გარემოებებს, არ არის საკმარისი, რადგან, შეცდომა რომ გახდეს მნიშვნელოვანი, აუცილებელია დაკმაყოფილდეს დამატებითი მოთხოვნები შემცდარი ან სხვა მხარის შესახებ.¹⁸⁷

შეცდომაში მყოფ მხარეს ხელშეკრულების შეცილება შეუძლია, თუ მეორე მხარე აკმაყოფილებს პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული პირობებიდან ერთ-ერთს. პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირველი სამი პირობა

¹⁸⁷ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 101-102; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

საერთო ხასიათს ატარებს, ვინაიდან ამ პირობების არსებობისას მეორე მხარე არ იმსახურებს დაცვას, რადგან ის გარკვეული ფორმით ჩართულია შემცდარი მხარის შეცდომაში.

3.2.2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირველი პირობაა ის, რომ შემცდარ მხარესთან ერთად, შეცდომას უშვებს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეც. თუმცა, მხარეები შეცდომით მიიჩნევენ ობიექტის არსებობას ხელშეკრულების დადების დროს, მაშინ როცა სინამდვილეში ის უკვე განადგურდა, მხედველობაშია 3.1.3 მუხლი.

მეორე პირობა ის არის, რომ მხარის შეცდომაში შეყვანა გამოწვეულია მეორე მხარის მიერ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარის განცხადებები, გამოხატულია ან ნაგულისხმევია, გაკეთებულია გაუფრთხილებლობით ან ბრალის გარეშე, ან ქმედება, რომელიც მხედველობაში მიიღება გარკვეული გარემოების არსებობისას. დუმილმაც კი შესაძლოა გამოიწვიოს შეცდომა. ჩვეულებრივ, „გაზვიადება“ რეკლამებში ან მოლაპარაკებებში, ნებადართულია. თუ შეცდომა განზრახ იქნა გამოწვეული მეორე მხარის მიერ, მაშინ ვრცელდება 3.2.5 მუხლი.

მესამე პირობა ისაა, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა შემცდარი მხარის შეცდომაში შეყვანის შესახებ და შეცდომაში მყოფი მხარის ამ მდგომარეობაში დატოვება ეწინააღმდეგებოდა „კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის გონივრულ კომერციულ სტანდარტებს.“ ის რაც მეორე მხარემ უნდა იცოდეს, არის ის რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო იმავე სიტუაციაში მყოფი გონიერი ადამიანისათვის. ხელშეკრულების შეცილებისთვის, შეცდომაში მყოფმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მეორე მხარის მიერ შეცდომის შესახებ ინფორმირების მოვალეობის არსებობა.

მეოთხე პირობა მოცემულია „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, მეორე მხარე და არა შეცდომაში მყოფი მხარე, ხელშეკრულების შეცილების მომენტში არ მოქმედებდა ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.¹⁸⁸

¹⁸⁸ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 102-103;
იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნიდროას პრინციპების 3.2.2. მუხლის პირველი პუნქტის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან თუ მეორე მხარის ქცევა მხედველობაში მიიღება, ნებისმიერ შემთხვევაში იგი ერთ-ერთ კატეგორიას დაექვემდებარება, მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ თუ არ იცოდა (ან დაუშვა თუ არა მან მსგავსი შეცდომა), შესაბამისად, ყველა შემთხვევა გადაიფარება ამ დებულებით.¹⁸⁹

რაც შეეხება ამავე მუხლის მე-2 პუნქტს, მასში ყურადღება მახვილდება ორ შემთხვევაზე, რომლის დროსაც შეცდომაში მყოფ მხარეს არ აქვს ხელშეკრულების შეცილების უფლება. პირველი მოხსენიებულია „ა“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც შეცდომა გამოწვეულია მხარის უხეში დაუდევრობით. ასეთ სიტუაციაში უსამართლობა იქნებოდა მეორე მხარისთვის, დაშვებული შეცდომის თავიდან ასაცილებლად, ხელშეკრულების შეცილების უფლების მინიჭება.

მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი არეგულირებს ისეთ სიტუაციას, როდესაც შეცდომაში მყოფმა მხარემ იტვირთა შეცდომის რისკი ან გარემოებების მიხედვით ეს რისკი მას უნდა ეტარებინა.

შეცდომის რისკი ხშირად ახასიათებს სპეკულაციურ ხელშეკრულებებს. მხარემ შეიძლება დადოს ხელშეკრულება იმ იმედით, რომ გარკვეული ფაქტების არსებობის შესახებ მისი ვარაუდი იქნება სწორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთარ თავზე აიღოს რისკი, რაც ასე არ არის. ასეთ პირობებში მას არ ექნება ხელშეკრულების შეცილების უფლება მისი შეცდომის გამო. ზოგჯერ ორივე მხარე იღებს რისკს. თუმცა, სპეკულაციური ხელშეკრულებები არ შეიძლება შეცილებულ იქნეს შეცდომის გამო, ვინაიდან შეცდომა არ ეხება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებულ ფაქტებს.¹⁹⁰

¹⁸⁹ *Muriel Fabre-Magnan*, Defects of Consent in Contract Law, ob. <https://www.trans-lex.org/131800/_/fabre-magnan-muriel-defects-of-consent-at-in-contract-law-in-hartkamp-hesselink-hondius-towards-a-european-contract-code-2-ed-the-hague-1998-at-219-et-seq/?fbclid=IwAR0LGaa5yx-hoPvI4GhIChIqVp2Rn8rCKqodzqIqH3Otg0K3Wy5CkwB_DL0>, [20.06.2019].

¹⁹⁰ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 103-104 . ob. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

როგორც ჩანს, უნიდროას პრინციპების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მსგავსად, არსებითი შეცდომის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ის, თუ რა ზომებს მიიღებდა „ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი გონიერი ადამიანი“, მას რომ საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ სცოდნოდა გარიგების დადების მომენტში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ შეცდომის არსებითად მიჩნევისათვის, უნიდროას პრინციპებისგან განსხვავებით, სსკ-ი შესაბამის პირობათა ჩამონათვალს არ ითვალისწინებს, რომელთა არსებობა გაამარტივებდა არსებითი შეცდომის იდენტიფიცირებას.

პრინციპები აწესრიგებს გამონათქვამებში ან გადაცემაში დაშვებულ შეცდომასაც, მოწესრიგებულია უნიდროას პრინციპების 3.2.3 მუხლით. გამონათქვამებში ან გადაცემაში დაშვებული შეცდომა ითვლება იმ მხარის შეცდომად, ვისი მხრიდანაც გაკეთდა განცხადება. ასეთი ტიპის შეცდომის მიმართ გამოიყენება 3.1.4; 3.2.2; 3.2.9-3.2.16 მუხლები.¹⁹¹

ხელშეკრულების მონაწილე მხარეს ენიჭება შეცილების უფლება, „თუ ხელშეკრულება დაიდო მეორე მხარის ცრუ განცხადებების საფუძველზე, აგრეთვე, გამოხატვის ენის და ქცევის სპეციფიკის და აგრეთვე, ფაქტების არაკეთილსინდისიერი დაფარვის ჩათვლით, რომელიც ექვემდებარებოდა მხარისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას, კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის გონივრული კომერციული სტანდარტების შესაბამისად.“¹⁹²

გამონათქვამებში ან გადაცემაში დაშვებული შეცდომა მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს, (მითუმეტეს, თუ იგი გამოწვეულია ციფრების გაყალბებით) შესაბამისად, მიმღები უნდა იყოს ინფორმირებული შეცდომის შესახებ. პრინციპები იცავს მიმღებს/ოფერტის ადრესატს შეცდომით აღწერილი ან გადაცემული შეთავაზების შემთხვევაში.¹⁹³

¹⁹¹ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 104 . ობ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

¹⁹² *ნ. პეპანაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ბონა კაუზა, თბილისი, 2014, 360-361.

¹⁹³ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 104 . ობ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

ცალკეულ შემთხვევებში შეცდომის რისკი შეიძლება დაეკისროს გამგზავნს, თუ ის გადაცემის, გადაგზავნის ისეთ მეთოდებს იყენებს, რომლის შესახებაც იცის ან უნდა იცოდეს, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას აღნიშნული მეთოდი ზოგადად სახიფათოა.

შეცდომა შესაძლოა დაშვებულ იქნეს მიმღების მხრიდანაც. გადაცემა დასრულებულია როგორც კი შეტყობინებას მიიღებს მიმღები. თუ შეტყობინება სწორად არის გადაცემული, მაგრამ მიმღები არასწორად იგებს მის შინაარსს, საკითხი 3.2.3 მუხლის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება. თუ შეტყობინებას სწორად მიიღებს ტექნიკა, მაგრამ აღნიშნული ტექნიკა ტექნიკური ხარვეზის გამო დაზიანებულ ტექსტს ბეჭდავს, საკითხი ასევე ამ მუხლის ფარგლებში ვერ მოექცევა. საკითხი ამ მუხლის ფარგლებს გარეთ რჩება მაშინაც, როცა მიმღების მოთხოვნით, შეტყობინება მიეწოდება ზეპირად მიმღების კურიერს, რომელიც არასწორად იგებს ან არასწორად გადასცემს შეტყობინებას მიმღებს.¹⁹⁴

უნიდროას პრინციპების 3.2.3 მუხლის მსგავსი შინაარსის შემცველი ნორმა მოცემულია ასევე სსკ-ის 80-ე მუხლში, რომელიც შეეხება შუამავლის მიზეზით გამოწვეულ შეცდომას.

შუამავალი ის პირია, რომელიც ერთი პირის მიერ გამოხატულ ნებას ატყობინებს მეორე პირს. სსკ-ის 80-ე მუხლის საფუძველზე გარიგების შეცილების უფლებას წარმოშობს შუამავლის მიერ არსებითი შეცდომის დაშვება.

შეუსრულებლობის მოგვარების გზები მოწესრიგებულია უნიდროას პრინციპების 3.2.4 მუხლში. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს კონფლიქტის მოგვარებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შეცდომის თავიდან აცილებისა და შეუსრულებლობის გამოსწორებისათვის. ასეთ შემთხვევაში წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად უპირატესობა ენიჭება შეუსრულებლობის გამოსწორებას (უფრო მოქნილია), ვიდრე ხელშეკრულებაზე უარის თქმას, რომელიც რადიკალური გადაწყვეტილებაა.¹⁹⁵

¹⁹⁴ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 105; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

¹⁹⁵ იქვე, 105.

მუხლი შეეხება ფაქტობრივ და პოტენციურ კონფლიქტს. ფაქტობრივი კონფლიქტი შეცდომის აღმოფხვრისა და შეუსრულებლობისათვის წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ორმხრივად ხდება ზომების მიღება იგივე ფაქტებთან მიმართებაში. ამგვარი კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შეუსრულებლობის გამოსწორებას.

თუ შემცდარ მხარეს შეეძლო შეუსრულებლობის გამოსწორება, თუმცა აღნიშნული სპეციალური გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო, მაგალითად გავიდა ხანდაზმულობის ვადა, მაშინ შეცდომის გამო ხელშეკრულების შეცილება ამ მუხლის ფარგლებში გამორიცხულია.

უნიდროას პრინციპების მიხედვით, მოტყუების საფუძველზე ხელშეკრულების ბათილობას აქვს მსგავსება გარკვეული ტიპის შეცდომების საფუძველზე გარიგების ბათილობასთან. მოტყუება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მეორე მხარის მიერ გამოწვეული შეცდომის სპეციალური შემთხვევა. ტყუილი, შეცდომის მსგავსად, შეიძლება მოიცავდეს ცრუ ფაქტების გამჟღავნებას, ან რეალური ფაქტების არ გამჟღავნებას.

გადამწყვეტი განსხვავება ტყუილსა და შეცდომას შორის, იმ მხარის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და ფაქტების დამალვის ბუნებასა და მიზანში დევს, ვინც ტყუილს ავრცელებს. ქცევა „მოტყუებად“ დაკვალიფიცირდება მაშინ, როცა ის მეორე მხარის შეცდომაში შეყვანას გამოიწვევს და მხარის დაზარალებით მეორე მხარე სარგებელს მიიღებს.

ხელშეკრულების მოტყუებით დადებისას, სსკ-ს მსგავსად, უნიდროას პრინციპებიც ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილობას ყოველგვარი პირობის გარეშე.

3.2.8 მუხლი განიხილავს ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც მონაწილეობს მესამე პირი ან მოლაპარაკებების პროცესში ჩართული პირი. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით მესამე პირის გამო მხარე ხდება პასუხისმგებელი, ხოლო მეორე პუნქტის მიხედვით კი პირიქით.¹⁹⁶

¹⁹⁶ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 106-107, 112; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

შესაბამისად, პირველი პუნქტი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ტყუილი, მუქარა, მხარის შეცდომა გამოწვეულია მესამე მხარის მიერ, რომლის ქმედებებზეც მეორე მხარეა პასუხისმგებელი ან შემთხვევები, რომლებიც არ იწვევს შეცდომას და მესამე მხარემ იცის ან უნდა იცოდეს ეს. მხარე პასუხისმგებელია მესამე პირის ქმედებებზე სხვადასხვა სიტუაციებში, რომლებშიც ეს პირი არის მხარის აგენტი გამოკითხვებში და სადაც მესამე პირი მოქმედებს მხარის სასარგებლოდ თავისი ინიციატივით. ყველა ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მხარისთვის ცნობილია მესამე პირის მოქმედებების შესახებ.

მე-2 პუნქტის მიხედვით, მხარე არის მესამე პირის მიერ მოტყუებული, განიცდის მესამე პირის მხრიდან მუქარას/სხვა უკანონო ზემოქმედებას, რომლის გამოც მეორე მხარე არ არის პასუხისმგებელი. ასეთი ქმედებების გამო, მეორე მხარის დადანაშაულება შეიძლება მაშინ, როდესაც ამის შესახებ იცის ან უნდა იცოდეს. თუმცა, როგორც წესი არსებობს ერთი გამონაკლისი: მოტყუებული, მუქარის ქვეშ მყოფი ან სხვაგვარად უკანონო გავლენის ქვეშ მყოფი მხარე უფლებამოსილია საცილო გახადოს ხელშეკრულება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე მხარემ არ იცოდა მესამე პირის ქმედებების შესახებ. ეს გამონაკლისი გამართლებულია, რადგან ამ სიტუაციაში მეორე მხარე არ საჭიროებს დაცვას.

უნიდროას პრინციპების 3.2.10 მუხლი ითვალისწინებს კონტრაქტის თანხმობის საფუძველზე შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლების გამორიცხვას. ამ მუხლის მიხედვით შემცდარ მხარეს შეუძლია ხელი შეუშალოს ხელშეკრულების გაბათილებას, თუ მეორე მხარე გამოთქვამს სურვილს ან იგი რეალურად ასრულებს ხელშეკრულებას ისე, როგორც შემცდარი მხარის მიერ იყო აღქმული/გაგებული. მეორე მხარის ინტერესის გათვალისწინებით, ასეთი სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს ხელშეკრულება მაშინაც კი, თუ ის ადაპტირებულია.¹⁹⁷

¹⁹⁷ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 112-114; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

მეორე მხარის ინტერესების ასეთი დაცვა გამართლებულია მხოლოდ შეცდომასთან და არა ნების ნაკლის სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით (მოტყუება, მუქარა), სადაც უკიდურესად რთული იქნება მხარეთა დაცვა ხელშეკრულების ძალაში დატოვებისთვის.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების დროის მომენტს, მეორე მხარემ უნდა განაცხადოს თავისი გადაწყვეტილება ხელშეკრულების შესრულების ან ხელშეკრულების ადაპტირებული ფორმით დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ, მას შემდეგ რაც შემცდარი მხარე გაიაზრებს ხელშეკრულების შინაარსს. ის, თუ როგორ მიიღებს ინფორმაციას ხელშეკრულების პირობებზე შექმნილი არასწორი წარმოდგენის შესახებ, ეს ცალკეული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული.

3.2.10 მუხლის მე-2 პუნქტი უთითებს შეცილების უფლების დაკარგაზე და ნათლად ადგენს, რომ მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შესრულებისას შემცდარი მხარე კარგავს ხელშეკრულების შეცილების უფლებას და მანამდე არსებული შეტყობინება საცილოობის შესახებ ხდება ძალადაკარგული.

მეორე მხარე აღარ არის უფლებამოსილი შეცვალოს ხელშეკრულების პირობები იმ შემთხვევაში თუ შემცდარმა მხარემ არა მხოლოდ შეატყობინა ხელშეკრულების შეცილების შესახებ, ასევე მოქმედებდა გონივრულად ამ შეტყობინების შესაბამისად.

მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი არ გამორიცხავს შემცდარი მხარის უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 3.2.16 მუხლის შესაბამისად, თუ მან განიცადა ზარალი, რაც გამოიწვია ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებამ. 3.2.16 მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ მხარემ, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ხელშეკრულების საცილოობის საფუძვლის არსებობის შესახებ, პასუხისმგებელია მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანის გამო.¹⁹⁸ ზიანის

¹⁹⁸ *Principles of International Commercial Contracts*, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 114, 123; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმისდა მიუხედავად, გაბათილდა თუ არა ხელშეკრულება.¹⁹⁹

სსკ-ის 77-ე მუხლი ეხება კონვენსიას შეცდომით დადებულ გარიგებებში, რომლითაც გამოირიცხება შემცდარი მხარის შეცილების უფლება, თუ ცდომილებაში არმყოფი მხარე თანახმაა შემცდარი პირის სურვილის შესაბამისად შეასრულოს გარიგება. შესაბამისად, სსკ-ის მსგავსად, უნიდროას პრინციპების მიხედვითაც შესაძლებელია შეცილების უფლება გამოირიცხოს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.

უნიდროას პრინციპების 3.2.11 მუხლი ეხება შეტყობინებას ხელშეკრულების შეცილების შესახებ, რომლის მიხედვითაც მხარე უფლებამოსილია შეცილება განახორციელოს მეორე მხარის შეტყობინებით, სასამართლოს ჩარევის გარეშე. შეტყობინება აუცილებელია ნათლად მოიცავდეს „შეცილებას“ ხელშეკრულებისას. შეტყობინება ძალაში შევა მას შემდეგ რაც ის მიაღწევს მეორე მხარესთან.²⁰⁰

უნიდროას პრინციპების მსგავსად, სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი ასევე ადგენს შეცილების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ სსკ-ი უთითებს კონკრეტულ ვადას, რა ვადაშიც უნდა განხორციელდეს შეტყობინება. კერძოდ, შეცილების ნამდვილობისათვის აუცილებელია იგი მოხდეს მისი საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში.

მართალია, უნიდროას პრინციპების მომდევნო მუხლი (3.2.12), შეეხება ვადას, თუმცა მასში კონკრეტულ ვადაზე მითითება არ ხდება, არამედ დადგენილია, რომ შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის შესახებ შეცდომაში მყოფი მხარის მიერ გონივრულ ვადაში უნდა გაკეთდეს, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ.²⁰¹

¹⁹⁹ *Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT* (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016, 114; იხ. <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>, [20.06.2019].

²⁰⁰ იქვე, 115.

²⁰¹ იქვე, 116.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხორციელებული კვლევიდან ჩანს, რომ შეცდომით დადებული გარიგებები სამოქალაქო კანონმდებლობით სიღრმისეულად და სრულყოფილად მოწესრიგებული არ არის. ხშირ შემთხვევაში, სსკ-ში არსებული ხარვეზის, ნორმათა ბუნდოვანების გამო შესაძლოა წარმოიშვას პრობლემები.

ნაშრომში გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობისა და უნიდროას პრინციპების შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა წარმოაჩინა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და დღის წესრიგში დააყენა კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი.

სსკ-ს ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ როგორც აღინიშნა, მასში არ არის მოცემული შეცდომის ლეგალური დეფინიცია. შეცდომას არ განმარტავს არც გსკ-ი. მათგან განსხვავებით, შეცდომის არსის დამდგენ ნორმას ითვალისწინებს საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები (უნიდროას პრინციპები).

მართალია, სსკ-ის 72-ე მუხლის სახელწოდებაა „ცნება“, თუმცა ნორმა არ განმარტავს სამართლისთვის მნიშვნელოვან შეცდომის არსს და არც იმას, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს შეცდომით დადებული გარიგება. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც სასამართლო პრაქტიკის სიმწირის გამო შესაძლოა ვერ იქნეს უზრუნველყოფილი აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა. კონკრეტული ცნების არსებობა, ყოველთვის აიოლებს სამართლებრივი ურთიერთობების კვალიფიკაციას და გამორიცხავს ორაზროვან, ბუნდოვან განმარტებებს.

სსკ-ში შეცდომის ლეგალური დეფინიციის არარსებობა კიდევ უფრო ართულებს შეცდომის და მოტყუების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ამიტომ, სრულებით შესაძლებელია, რომ მხარე გარიგებას საცილოდ ხდიდეს მოტყუების საფუძველზე, თუმცა, სასამართლომ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, სათანადო მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დაადგინოს, რომ სახეზეა არა მოტყუების, არამედ არსებითი შეცდომის წინაპირობები.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში შეცდომები დაყოფილია არსებითი და არაარსებითი შეცდომის სახეებად. შეცდომის შეფასება კი ხორციელდება მთელი რიგი სუბიექტურ-ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. სსკ-ს მსგავსად, უნიდროას პრინციპებიც შეცდომას აფასებს იმის მიხედვით, თუ რას მოიმოქმედებდა „ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი გონიერი ადამიანი“, მას რომ ხელშეკრულების დადების მომენტში სცოდნოდა ნამდვილი გარემოებები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალში შეცდომის სახეები გაცილებით უფრო დაკონკრეტებული სახითაა წარმოდგენილი, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან და უნიდროას პრინციპებისაგან. გერმანული სამართალი არსებითი შეცდომის ოთხ სახეს ითვალისწინებს, კერძოდ : ა)შეცდომა შინაარსში, ბ)შეცდომა განმარტებაში, გ) შეცდომა თვისებაში, დ)შეცდომა გადაცემაში. უნიდროას პრინციპები კი საერთოდ არ იძლევა არსებითი და არაარსებითი შეცდომის სახეების ჩამონათვალს.

თუმცა, განსხვავებით ქართული და გერმანული კანონმდებლობისაგან, უნიდროას პრინციპები ადგენს იმ პირობების ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც შეცდომა არსებითად უნდა იქნეს მიჩნეული.

კვლევამ ცხადჰყო არსებითი შეცდომის სახეების ჩამონათვალთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი მიდგომა. მართებულად მიმაჩნია იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც არსებითი შეცდომის ექვს ძირითად სახეს ჩამოთვლიან, რომელთაც მიაკუთვნებენ შემდეგ სახეებს: ა)შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში, ბ)შინაარსში დაშვებული შეცდომა, გ)გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა, დ)შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში, ე)შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში, ვ)შეცდომა უფლებაში.

რაც შეეხება არაარსებით შეცდომებს, კოდექსი მათ მიაკუთვნებს შეცდომას გარიგების მოტივში და წვრილმან შეცდომებს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოტივში დაშვებული შეცდომა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს არსებით შეცდომად, თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.

აღნიშნული იქიდან გამომდინარეობს, რომ მოტივში შეცდომა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებითი შეცდომა, ამიტომ, ვთვლი, რომ ცალსახად მისი განხილვა, როგორც არსებითი შეცდომა, არამართებულია.

შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად აღინიშნა ისიც, რომ სსკ-ით და უნიდროას პრინციპებით გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დროის მომენტად დადგენილია ხელშეკრულების დადების მომენტი. თუმცა, განსხვავება გამოვლინდა იმ კუთხით, რომ თუ უნიდროას პრინციპები გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დროის მომენტზე მითითებას შეცდომის ცნების განმსაზღვრელ მუხლშივე აკეთებს, სსკ-ი ზოგადი ნორმით ადგენს დროის ასეთ მომენტს, რომელიც საერთოა როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებებისათვის.

განსხვავება გამოვლინდა ქართულ და გერმანულ სამართალს შორისაც. კერძოდ, სსკ-ით გამოთვლაში შეცდომა წვრილმან შეცდომადაა მიიჩნეული, მაშინ როცა გერმანული სამართლის მიხედვით იგი განმარტებაში დაშვებული შეცდომის ერთ-ერთ სახედაა მოაზრებული. გამოთვლაში შეცდომა გსკ-ის §119 პარაგრაფითაც არაარსებით შეცდომად განიხილება.

სსკ-ის ხარვეზად იქნა მიჩნეული 74-ე მუხლის სახელწოდება - „შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში“. როგორც უკვე აღინიშნა, მუხლის პირველი ნაწილი ეხება კონტრაქტის პიროვნებაში და მის პირად თვისებებში დაშვებულ შეცდომას, ხოლო მეორე ნაწილში საუბარია საგნის ძირითად თვისებაში დაშვებულ შეცდომაზე. ორივე ტიპის შეცდომა არსებითი შეცდომის ორი სხვადასხვა სახეა, შესაბამისად, სსკ-ის 74-ე მუხლის სახელწოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაურკვეველობა.

ასევე, რადგან სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ნათლად არ ჩანს, თუ ვის მიერ უნდა შეფასდეს კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისებების არსებითობა, ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისებების შემფასებლად ობიექტური მესამე პირი უნდა იქნეს მიჩნეული და არა ნების გამომვლენი.

საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის შესაბამის დებულებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიკვეთა იმაშიც, რომ თუ სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი მითითებას „კონტრაქტის პიროვნებასა თუ პირად თვისებებზე“ აკეთებს, გსკ-ის 119-ე II პარაგრაფის პირველი ალტერნატივა ზოგადად, ნებისმიერი „პირის თვისებებზე“ უთითებს.

კვლევის შედეგად აღინიშნა მსგავსებები, რომელიც არსებობს საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და უნიდროას პრინციპებს შორის, მაგალითად, ორივე მათგანი აწესრიგებს მესამე პირის მიზეზით გამოწვეულ შეცდომასთან დაკავშირებულ საკითხებს, კონტრაქტის თანხმობის შემთხვევაში შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლებას გამორიცხავს ქართული სამართალიც და უნიდროას პრინციპებიც. ასევე, ქართული სამართალიც და უნიდროას პრინციპებიც ადგენს შეცილების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას (თუმცა იმ განსხვავებით, რომ სსკ-ის მიხედვით, შეცილება უნდა განხორციელდეს მისი საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში, უნიდროას პრინციპებში კი კონკრეტულ ვადაზე მითითება არ ხდება).

მსგავსება დადგინდა ქართულ და გერმანულ სამართალს შორის არსებითი და არაარსებითი შეცდომების თანმდევ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ორივე ქვეყნის სამართლის მიხედვით, არსებითი შეცდომის შემთხვევაში აუცილებელია განხორციელდეს შეცილება, რასაც საბოლოოდ შესაძლოა მოჰყვეს გარიგების ბათილობა. არაარსებითი შეცდომა (წვრილმანი შეცდომა) შეცილების უფლებას ვერ წარმოშობს, შესაბამისად გარიგება ბათილად ვერ იქნება ცნობილი. ამ შემთხვევაში მხარეებს შუძლიათ არაარსებითი ცვლილება შეიტანონ გარიგებაში. გარიგების მოტივში შეცდომა კი სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული ხარვეზების გადასაჭრელად შემოგთავაზებთ რამოდენიმე რეკომენდაციას:

(ა) სასურველი იქნება, თუ სსკ-ში გაჩნდება შეცდომის ლეგალური დეფინიციის განმსაზღვრელი მუხლი. შეცდომის ცნება კი შესაძლოა იმ

შინაარსით ჩამოყალიბდეს, რა შინაარსითაც უნიდროას პრინციპების 3.2.1 მუხლი განმარტავს მას.

კერძოდ, „შეცდომა არის არასწორი წარმოდგენა დაკავშირებული ფაქტებთან ან კანონთან.“ იმის მითითება, რომ შეცდომა ხელშეკრულების დადების მომენტში უნდა არსებობდეს, აღარ არის საჭირო, რადგან დროის ამ მომენტზე მითითებას, როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი აკეთებს.

(ბ) რაც შეეხება სსკ-ის 74-ე მუხლს და მის სახელწოდებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას, უპრიანი იქნება თუ კონტრაქტის პიროვნებასა და მის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომა და საგნის ძირითად თვისებაში დაშვებული შეცდომა ცალ-ცალკე მუხლით მოწესრიგდება კოდექსში ან შეიცვლება სსკ-ის 74-ე მუხლის სახელწოდება და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად, „შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში და შეცდომა საგნის ძირითად თვისებაში“.

(გ) მართალია შეცდომით დადებული გარიგებების შესახებ საქართველოში სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი, თუმცა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის განვითარებისათვის, კარგი იქნება თუ საქართველოს საერთო სასამართლოები გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და შესაბამისი ქართული იურიდიული ლიტერატურისა, ასევე გამოიყენებენ საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპებსა და პრინციპების კომენტარებს, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს და სრულყოფილს გახდის საქართველოს საერთო სასამართლოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რადგან საერთო სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეცდომით დადებული გარიგებების შესახებ უმეტესწილად მხოლოდ სსკ-ს ნორმათა დონეზე განიმარტება ან/და დასაბუთებისათვის მინიმალური დოზით არის გამოყენებული ქართული იურიდიული ლიტერატურა.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ამირანაშვილი გიორგი, შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში - მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2013.
2. ამირანაშვილი გიორგი, შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში-ისტორიული საწყისი და თანამედროვე გამოხატულება, სამართლის ჟურნალი, N1, 2014.
3. ახვლედიანი, ბ. ზოიძე და სხვ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, სამართალი, თბილისი, 2002.
4. ბურდული ირაკლი, გაწერელია აკაკი და სხვ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017.
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სიესტა, თბილისი, 2010.
6. ზოიძე ბესარიონ, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 1994.
7. ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინება.
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება.
10. თუმანიშვილი გიორგი, გარიგებები-სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.
11. კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.
12. კიკოშვილი სოფიო, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008.
http://newvision.ge/sites/default/files/nebis_nakli_kartul_samartalshi_sopio_kikoshvili_0.pdf
13. კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2001.
14. კროფჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014.

15. ნაჭყებია ალექო, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GIZ, 2014.
<http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf>
16. პეპანაშვილი ნინო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ბონა კაუზა, თბილისი, 2014.
17. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 1997.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება №ას-1350-1275-2012.
19. ჩიტაშვილი ნათია, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, (დისერტაცია), თსუ, 2014.
<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf>
20. ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ჯისიაი, თბილისი, 2001.
21. ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სამართალი, თბილისი, 2011.
22. ხარაზი ია, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი დებულებები, მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012.
23. ჯორბენაძე სერგი, გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011.
<<http://www.library.court.ge/docs/115/>>
24. ჯორბენაძე სერგი, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, N2, 2011.
<<http://www.library.court.ge/upload/Sam%20journ%20N2%202011.pdf>>
25. ჯორბენაძე სერგი, შეცდომის საფუძველზე ნების გამოვლენა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2011.
- იხ. <<http://www.library.court.ge/upload/42042012-04-04.pdf>>
26. ჰარტკამპი არტურ, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2009-2010.
<http://newvision.ge/sites/default/files/artur_hartkamp.pdf>

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Catherine Valcke, Convergence and Divergence Between the English, French, and German Conceptions of Contract, Legal Studies Research Series, №08-14, 2008.
<https://www.sssup.it/UploadDocs/3332_SSRN_ID1266172_code333799.pdf>
2. Fu Junwei, Modern European and Chinese contract law: A Comparative Study of Party Autonomy, Tilburg University School of Law, 2010.
<https://pure.uvt.nl/ws/portalfiles/portal/7549119/Fu_modern_20_12_2010.pdf>.
3. Jonathan Beech, Mistake over the terms of a contract: A comparative analysis of England, France and Germany.
<<https://sites.google.com/site/349924e64e68f035/issue-6/mistake-over-the-terms-of-a-contract-a-comparative-analysis-of-england-france-and-germany>>
4. McKeag, Edwin C, Mistake in Contract: A Study in Comparative Jurisprudence, New York: Columbia University Press, 1905.
<<http://web.a.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=75064dcb-edf0-474b-a70a-1f11b26e0573%40sessionmgr4007>>
5. Michael Joachim Bonell. Ardsley, An International Restatement of Contract Law : The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (Third Edition),
<<http://web.b.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=4&sid=341288e6-c913-49b5-90d3-75eb8f192813%40sessionmgr103>>
6. *Muriel Fabre-Magnan*, Defects of Consent in Contract Law.
<https://www.trans-lex.org/131800/_/fabre-magnan-muriel-defects-of-consent-at-in-contract-law-in:-hartkamp-hesselink-hondius-towards-a-european-contract-code-2-ed-the-hague-1998-at-219-et-seq/>
7. Principles of International Commercial Contracts, UNIDROIT (International Institute for the Unification of Private Law), Rome, 2016.
<https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>,
8. Robert A. Riegert., Unilateral Mistake Under the West German Civil Code and Some Comparisons, <<https://scholar.smu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4232&context=til>>
9. *Ruth Sefton-Green*, Mistake, Fraud and Duties to Inform In European Contract Law, Cambridge University Press, 2005.